

ს.ს. კორ სტანდარტ ბანკი

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების  
სტანდარტებით შედგენილი კონსოლიდირებული  
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი  
აუდიტორის დასკვნა

**31 დეკემბერი 2008**

1	შესავალი.....	5
2	ბანკის სამუშაო გარემო .....	5
3	სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....	7
4	სააღრიცხვო პოლიტიკაში გაოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები.....	18
5	ახალი ან გადამოწმებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები.....	19
6	ახალი სააღრიცხვო განცხადებები.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
7	ფული და ფულადი ეკვივალენტები.....	22
8	კლიენტებზე გაცემული სესხები.....	25
9	საინვესტიციო საკუთრება.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
10	გუდვილი .....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
11	არამატერიალური აქტივები.....	32
12	შენობები და მოწყობილობა.....	34
13	სხვა ძირითადი საშუალებანი, მათ შორის აქციონერებისაგან მისაღები.....	34
14	სხვა აქტივები.....	36
15	ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
16	კლიენტთა ანგარიშები .....	38
17	სხვა ფინანსური ვალდებულებები.....	39
18	სხვა ვალდებულებელი.....	40
19	სუბორდინირებული ვალი .....	40
20	სააქციო კაპიტალი .....	42
21	საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები .....	42
22	საკომისიო შემოსავალი და ხარჯები.....	44
23	სხვა საოპერაციო შემოსავალი .....	44
24	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	45
25	საშემოსავლო გადასახადები.....	45
26	ფინანსური რისკის მართვა.....	47
27	კაპიტალის მართვა.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
28	გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები.....	63
29	ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება .....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
30	ფინანსური ინსტრუმენტების პრეზენტაცია კატეგორიების მიხედვით .....	66
31	დაკავშირებულ მხარეთა ტრანსაქციები.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
32	ბიზნეს კომბინაციები.....	68

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს კორ სტანდარტ ბანკის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

- 1 ჩვენ ჩავატარეთ სს კორ სტანდარტბანკის და მისი შვილობილი კომპანიის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კერძოდ კი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგების, მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა.
- 2 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასეთი პასუხისმგებლობა გულისხმობს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და ისეთი სააღრიცხვო შეფასებების შემუშავებას, რომლებიც მისაღები კონკრეტული ვითარებისთვის.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

- 3 ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. აღნიშნული სტანდარტებით საფუძველზეა ეთიკური ნორმების დაცვა, ასევე აუდიტის იმგვარად დაგეგმვა და ჩატარება, რათა უზრუნველყოფილი იქნას გარანტია, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას.
- 4 აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულების მოპოვებაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე. შერჩეული მეთოდიკა დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშაოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ მექანიზმებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემოწმებას, ისევე როგორც მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.
- 5 დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული რწმუნება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნის წარდგენისათვის.

დასკვნა

- 6 ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრისათვის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

23 მარტი 2009წ.

**JSC KOR STANDARD BANK**  
**Consolidated Balance Sheet**

ათას ლარებში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
<b>აქტივები</b>			
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	7	37,820	-
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში		4,941	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	8	84,728	-
საინვესტიციო ქონება	9	10,874	-
გადავადებული საშემოსავლო საგადასახადო აქტივი	25	1,200	-
გუდვილი	10	20,374	-
არამატერიალური აქტივები	11	12,621	-
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	12	11,644	-
სხვა ფინანსური აქტივები, მათ შორის აქციონერებისაგან მისაღები	13	22,638	16,000
სხვა აქტივები	14	1,022	-
<b>მთლიანი აქტივები</b>		<b>207,862</b>	<b>16,000</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სხვა ბანკებისადმი	15	1,815	-
კლიენტთა ანგარიშები	16	113,428	-
მიმდინარე საშემოსავლო საგადასახადო ვალდებულება		105	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	17	21,605	-
სხვა ვალდებულებები	18	1,429	-
სუბორდინირებული ვალი	19	8,391	-
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>		<b>146,773</b>	<b>-</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	20	75,000	16,000
რეზერვი	60	(485)	-
აკუმულირებული დეფიციტი		(13,426)	-
<b>მთლიანი კაპიტალი</b>		<b>61,089</b>	<b>16,000</b>
<b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>207,862</b>	<b>16,000</b>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2009 წლის 23 მარტს.

იმრან ხიზარ ჰაიატი  
 გენერალური დირექტორი

ირინა ვორმანი  
 მთავარი ბუღალტერი

**JSC KOR STANDARD BANK**  
**Consolidated Statement of Operations**

ათას ლარებში	შენიშვნა	2008
საპროცენტო შემოსავალი	21	18,370
საპროცენტო ხარჯი	21	(9,345)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>9,025</b>
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	0	(2,699)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების დარეზერვების შემდეგ</b>		<b>6,326</b>
საკომისიო შემოსავალი	22	2,739
საკომისიო ხარჯი	22	(1,460)
შემოსავლებს მინუს ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		518
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან		(97)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	23	556
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	24	(21,690)
<b>ზარალი დაბეგვრამდე</b>		<b>(13,108)</b>
საშემოსავლო საგადასახადო კრედიტი	0	1,677
<b>წლიური ზარალი</b>		<b>(11,431)</b>

**JSC KOR STANDARD BANK**  
**Consolidated Statement of Changes in Equity**

<i>ათას ლარებში</i>	<i>შენიშვნა</i>	<i>სააქციო კაპიტალი</i>	<i>რეზერვი</i>	<i>აკუმულირებული დეფიციტი</i>	<i>ჯამი</i>
<b>ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>		<b>16,000</b>		<b>- 16,000</b>	
კაპიტალის თავდაპირველი აღიარების შესწორება	20	-	(2,480)	-	<b>(2,480)</b>
კაპიტალის თავდაპირველი აღიარების შესწორების მოხსნა	20	1,995	-	(1,995)	-
წლიური ზარალი		-	-	(11,431)	<b>(11,431)</b>
<b>მთლიანი აღიარებული ზარალი</b>			<b>(485)</b>	<b>(13,426)</b>	<b>(13,911)</b>
აქციების გამოშვება	20	<b>59,000</b>		<b>- 59,000</b>	
<b>ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>		<b>75,000</b>	<b>(485)</b>	<b>(13,426)</b>	<b>61,089</b>

**JSC KOR STANDARD BANK**  
**Consolidated Statement of Cash Flows**

ათას ლარებში	Note	2008
<b>ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობებიდან</b>		
მიღებული პროცენტი		16,038
გადახდილი პროცენტი		(6,823)
მიღებული საკომისიოები		2,739
გადახდილი საკომისიოები		(1,460)
შემოსავალი მიღებული სავალუტო ოპერაციებიდან		518
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავლები		281
პერსონალის ხარჯები -გადახდილი		(9,594)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები - გადახდილი		(7,571)
საშემოსავლო გადასახადი - გადახდილი		(254)
<b>ფულადი სახსრები გამოყებული საოპერაციო საქმიანობებში ცვლილების შეტანამდე საოპერაციო აქტივებსა და პასივებში</b>		<b>(6,126)</b>
წმინდა ზრდა სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებში საქართველოს ეროვნულ ბანკში		(4,941)
წმინდა ზრდა კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებში		(19,228)
წმინდა კლება სხვა ფინანსურ აქტივებში		731
წმინდა ზრდა სხვა აქტივებში		(1,008)
წმინდა კლება სხვა ბანკების მოთხოვნებზე		(18,521)
წმინდა ზრდა კლიენტთა ანგარიშებში		67,828
წმინდა კლება სხვა ფინანსურ ვალდებულებებში		(341)
წმინდა ზრდა სხვა ვალდებულებებში		1,578
<b>წმინდა ფულადი შემოსავლები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>		<b>19,972</b>
<b>ფულადი სახსრების შემოდინება საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>		
ვადიანი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექენა		(17,327)
შემოსავალი ვადიანი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან ვადის გასვლის შემდეგ		17,327
შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების შექენა		(981)
შეიღობილის შექენაზე შექენის დროს გადახდილი თანხა	32	(14,840)
შეიღობილის შექენა, მეორე გადახდა	32	(14,000)
საინვესტიციო საკუთრების შექენა		(5,240)
არამატერიალური აქტივების შექენა		(43)
<b>საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(35,104)</b>
<b>ფულადი სახსრების შემოდინება ფინანსური საქმიანობებიდან</b>		
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება		52,783
<b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>		<b>52,783</b>
<b>გაცვლითი კურსის ცვლილების ზემოქმედება ნაღდ ფულსა და მის ექვივალენტებზე</b>		<b>169</b>
<b>წმინდა ზრდა ნაღდ ფულსა და მის ექვივალენტებში</b>		<b>37,820</b>
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში		-
<b>ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>7</b>	<b>37,820</b>

**1 შესავალი**

წინამდებარე ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს კორ სტანდარდ ბანკისათვის, ადრე “კორ ბანკად” (“ბანკი”) წოდებული და მისი ფილიალებისათვის (ერთობლივად წოდებულნი, როგორც “ჯგუფი” ან “ბანკი”).

სს “კორ ბანკი” რეგისტრირებული იქნა 2007 წლის 30 დეკემბერს და ფუნქციონირებს საქართველოში. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის უშუალო აქციონერები იყვნენ შეიხი ნაჰაიანი მამარაკ ნაჰაიანი, რომელიც ფლობს აქციების 50%, შეიხი ჰამდან ბინ ზაიედ ალ ნეჰაიანი, რომელიც ფლობს აქციების 20%-ს, შეიხი მოჰამედ ბუტი ალ ჰამედი, რომელიც ფლობს აქციების 15% და შეიხი ანსურ ბინ ზაიედ ბინ სულთან ალ ნეჰაიანი, რომელიც ფლობს აქციების 15%. 2008 წლის 6 მარტს ბანკმა შეიძინა აქციების 100% სს სტანდარტ ბანკისაგან, რომელიც გახლდათ ადგილობრივი ქართული ბანკი. 2008 წლის ივლისში სს სტანდარტ ბანკმა შეწყვიტა არსებობა როგორც იურიდიულმა პირმა, მას შემდეგ, რაც მოხდა მისი აქტივებისა და პასივების შერწყმა სს კორ ბანკთან, რომლის იურიდიული სახელწოდებაც შეიცვალა და გახდა სს კორ სტანდარტ ბანკი შერწყმის შემდეგ. ბანკი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შეზღუდულია აქციებით და ჩამოყალიბდა საქართველოს წესების შესაბამისად.

**ძირითადი საქმიანობა.** ბანკი ძირითადად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული და საცალო საბანკო ოპერაციები საქართველოს ფარგლებში. ბანკი მუშაობს სრული საბანკო ლიცენზიის შესაბამისად, რომელიც გაცემული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2008 წლის 25 თებერვლიდან.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია 24 ფილიალი საქართველოში. ას ასევე გააჩნია წარმომადგენლობები წნორში, დედოფლისწყაროსა და სენაკში.

ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზირი 43.

**პრეზენტაციის ვალუტა.** წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებანი წარმოადგენილია ათას ლარებში. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი შეადგენს ცვლითი კურსი შეადგენდა 1 აშშ დოლარი = 1.6670 ლარს (2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 1.5916 ლარს).

**2 ბანკის სამუშაო გარემო**

**საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება.** საქართველოს რესპუბლიკაში წარმოდგენილია გარკვეული მახასიათებლები განვითარებადი ბაზრისა, მათ შორის ისეთი ვალუტის არსებობა, რომელის კონვერტირება თავისუფლად არ ხდება უმეტეს ქვეყნებში საქართველოს ფარგლებს გარეთ, შედარებით მაღალი ინფლაცია და ეკონომიკური ზრდა. საქართველოს საბანკო სექტორი მგრძობიარეა უარყოფითი ცვლილებებისადმი ეკონომიკურ პირობებში. საქართველოს ეკონომიკა დროგამოშვებით განიცდის დაცემებს საბანკო სექტორისადმი ნდობის საკითხებში, რასაც თან სდევს ლიკვიდურობის შემცირება. შავადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა საქართველოს რესპუბლიკაში ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებას და ცვლილებებს, რაც ხშირად ხდება. უფრო მეტიც, გაკოტრების კანონების შემდგომი განვითარების საჭიროება, ოფიციალური პროცედურების არარსებობა გირაოს დასარეგისტრირებლად და სარეალიზაციოდ, ასევე სხვა იურიდიული და ფინანსური დაბრკოლებები წყარმოშობს სირთულეებს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი ბანკების წინაშე.

მტკიცე ეკონომიკური ზრდის მიუხედავად უახლოეს წლებში, საქართველოს ბაზარზე არსებული ფინანსური ვითარება მნიშვნელოვნად გაუარესდა 2008 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით მეოთხე კვარტალში. 2008 წლის სექტემბრიდან სავალუტო ბაზარზე იმატა ცვალებადობამ და ქართული ლარი მნიშვნელოვნად გაუფასურდა ძირითად უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში. საქართველოს ეკონომიკურ გარემოსა და ინფრასტრუქტურაზე უარყოფითი ზემოქმედება

მოახდინა სამხედრო კონფლიქტმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის აგვისტოში. საქართველოში მომავალი ეკონომიკური სტაბილურობის პრესპექტივა დიდად არის დამოკიდებული იმ ეკონომიკური ზომების ეფექტურობაზე, რომელიც მიღებული იქნა მთავრობის მიერ, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად, რაც ბანკის ცონტროლს არ ექვემდებარება. საქართველოს რესპუბლიკის მომავალი ეკონომიკური ორიენტაცია დიდად არის დამოკიდებული იმ ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ზომების ეფექტურობაზე, რომელიც მიღებული იქნა მთავრობის მიერ, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად. მენეჯმენტს არ ძალუძს გააკეთოს პროგნოზი საბანკო სექტორში ეკონომიური მიმართულებებისა და განვითარების კუთხით და რა ზემოქმედება შეიძლება იქონიოს ლიკვიდურობის გაუარესებამ ან ნდობის დაქვეითებამ საქართველოს საბანკო სისტემაში ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე.

## **2 ბანკის სამუშაო გარემო (გაგრძელება)**

**მიმდინარე ცვლილებები გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე.** მიმდინარე არამდგრადობის გამო გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ “კრედიტის შეზღუდულობას” და მისი ზემოქმედების გამო, განსაკუთრებით არასაკმარისი ლიკვიდურობა საკრედიტო ბაზრებზე, ასევე ბანკებისა და ადგილობრივი კომპანიების უნარზე, მოიხილონ დაფინანსება, არსებობს ეკონომიკური ზრდის პოტენციალი საქართველოში, რათა შემცირდეს და შესაბამისად შიხლუდოს ბანკის საქმიანობის შემდგომი გაფართოება, სულ მცირე მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში. 2007 წლის მეორე ნახევრიდან აღინიშნება მკვეთრი ზრდა გირაოს გამოსყიდვის აკრძალვის მხრივ აშშ-ს ქვესტანდარტულ იპოთეკურ ბაზარზე. ზემოქმედება გავრცელდა აშშ-ს საბინაო ბაზრის მიღმა, რამეთუ ინვესტორებმა გადააფასეს თავიანთი გაცემული სახსრები რისკთან მიმართებაში, რაც შედეგად მოჰყვა მზარდი ცვალებადობა და დაბალი ლიკვიდურობა ფიქსირებულ შემოსავლებში, კაპიტალში და განვითარებად ბაზრებში. ანკის დებოტორები, თუ მსესხებლებიც ასევე შეიძლება დაზარალებულნი დაბალი ლიკვიდურობის გამო, რამაც შეიძლება, თავის მხრივ, ზეგავლენა მოახდინოს მათ გადახდისუნარიანობაზე. ენეჯმენტს არ ძალუძს, იწინასწარმეტყველოს, თუ როგორ განვითარება მოვლენები, რამაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს საბანკო სექტორზე და ეკონომიკაზე და შედეგად რა ზეგავლენა შეიძლება მათ მოახდინონ ბანკის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მსესხებლებისა და კლიენტების სამუშაო პირობების გაუარესებამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს მენეჯმენტის ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზზე და ფინანსური, არაფინანსური აქტივების გაუარესების შეფასებაზე. რამდენადაც ხელმისაწვდომია ინფორმაცია, მენეჯმენტმა სწორად ასახა ფულადი სახსრების მომავალი მოძრაობის განახლებული გაანგარიშებანი მათ მიერ გაკეთებულ გაუფასურების შეფასებებში.

დარეზერვების თანხა უიმედო სესხებისათვის ემყარება მენეჯმენტის მიერ ამ აქტივების შეფასებას საბალანსო უწყისის თარიღთან ფულადი სახსრების მიმოქცევის გათვალისწინებით, რასაც შეიძლება გამოიმდინარეობდეს გირაოს გამოსყიდვის უფლების გაუქმებიდან. საქართველოს ბაზარი მრავალი სახის გირაოსა და, განსაკუთრებით უძრავი ქონებისა, მკაცრი ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდა ახლახანს მომხდარი ცვლილებები გამო საერთო ფინანსურ ბაზრებზე, რასაც შედეგად მოჰყვა მათი დაბალლიკვიდურობა აქტივების გარკვეული სახეობებისათვის. ყოველივე ამასს შედეგად მოჰყვა ის, რომ გირაოს რეალური სარეალიზაციო ღირებულება შეიძლება გასხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან, რაც დაფიქსირებულია გაანგარიშებად დაშვებებში გაუფასურებაზე.

მენეჯმენტს არ ძალუძს საიმედოდ განსაზღვროს ზემოქმედება ბანკის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე ლიკვიდურობის ნებისმიერი შემდგომი გაუარესების თვალსაზრისით, ასევე მზარდი ცვალებადობა სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე. მენეჯმენტს სჯერა, რომ იგი დებულობს ყველა აუცილებელ ზომას, რათა ხელი შეუწყოს ბანკის მდგრადობას და მისი ბიზნესის ზრდას არსებულ ვითარებაში.

### **3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

#### **შედგენის საფუძველი.**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” (“ფასს”) შესაბამისად. მარეგულირებელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბანკს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოეთხოვება ლარში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განმარტებულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში ქვემოთ. მგვარი პოლიტიკის გატარება მუდმივად ხდებოდა წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში.

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად თუ გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც არ აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასი ფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

#### **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებანი.**

შვილობილი კომპანიები, ანუ ის კომპანიები და სხვა დაწესებულებები (მათ შორის საგანგებო მოხნის მქონე დაწესებულებები) როლებშიც ჯგუფს გააჩნია ინტერესი და ხმის უფლების ნახევარზე მეტი და უფლება აქვს გაატარონ ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, რათა მიიღონ სარგებელი. ოტენციური ხმის მიცემის უფლებების არსებობა და შედეგი, რომელიც ამჟამად გამოიყენება და კონვერტირდება, მათი ჩათვლა ხდება იმის შეფასებისას, რომ ჯგუფი აკონტროლებს დაწესებულებებს, თუ არა. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია ჯგუფისათვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან (შექმნის თარიღი) და მათი დეკონსოლიდირება ხდება კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

აღრიცხვის შესყიდვის მეთოდი გამოიყენება შვილობილი კომპანიების შესყიდვისას. შესყიდვის ღირებულება იზომება აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გაცემული კაპიტალის ინსტრუმენტებით და ვალდებულებებით, რომელთა აღება მოხდა გაცვლის თარიღზე, პლუს ის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის შეტანილი შესყიდვაში. გაცვლის თარიღი არის შესყიდვის თარიღი, როდესაც ბიზნეს კომბინაცია სრულდება ერთჯერად ტრანსაქციაში და ასევე არის თითოეული აქციის შესყიდვის თარიღი, სადაც ბიზნეს კომბინაცია სრულდება ეტაპებად აქციების თანმიმდევრობითი შესყიდვებით.

შესყიდვის ღირებულების ნამატი შემსყიდველის წილზე შემსყიდველი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაში თითოეულ გაცვლით ტრანსაქციაში, რეგისტრირდება როგორც გუდვილი. შემსყიდველის ინტერესის ნამატი აღრიცხვას დაქვემდებარებული აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა სამართლიან ღირებულებაში, რომელიც შექმნილი იქნა ღირებულებით (“ნეგატიური გუდვილი”) დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება მოგებაა, თუ ზარალში.

**3 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და პასივები, ასევე პირობითი ვალდებულებები, რაც გათვალისწინებულია ბიზნეს კომბონაციაში იზომება შეძენის დღეს არსებული მათი სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი უმნიშვნელო პროცენტის მოცულობის მიუხედავად.

კომპანიათაშორისი ტრანსაქციები, ბალანსები და არარეალიზებული შემოსვლები ტრანსაქციებზე ჯგუფის კომპანიებს შორის გაუქმებულია; არარეალიზებული დანაკარგები ასევე გაუქმებულია, თუ არ მოხდება ღირებულების ამოღება. ბანკმა და მისმა ყველა ფილიალმა გაატარა ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა ბანკის პოლიტიკის შესაბამისად.

**ფინანსური ინსტრუმენტები - განზომილების ძირითადი პირობები.** თავიანთი კლასიფიკაციაზე დამოკიდებულებით, ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენება მათი სამართლიანი როგორც ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

*სამართლიანი ღირებულება* არის ის თანხა, რომელიმე შეიძლება აქტივის გაცვლა, ან მოგვარებული ვალდებულება მცოდნე, სურვილის მქონე მხარეებს შორის კომერციულ ოპერაციაში. სამართლიანი ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც კვლირებულია აქტიურ ბაზარზე. ანაზღაურებადი რისკის მქონე აქტივებისა და პასივებისათვის, ბანკმა შეიძლება გამოიყენოს საშუალო სავაზრო ფასები, როგორც საფუძველი მათი სამართლიანი ღირებულების დასადგენად ანაზღაურებადი რისკის პოზიციებისათვის და შესაბამისად გამოიყენოს შეთავაზებული თუ მოთხოვნილი ფასი წმინდადია პოზიციისათვის. ინანსური ინსტრუმენტი ჩაითვლება კვლირებულად აქტიურ ბაზარზე იმ შემთხვევაში, თუ კვლირებული ფასი რეგულარულად არის ხელმისაწვდომი გაცვლითი თუ სხვა ინსტიტუტისაგან და ის ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ტრანსაქციას კონკურენტულ საფუძველზე.

შეფასების ტექნიკა, როგორცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების მიმოქცევის მოდელები ან მოდელები მიმდინარე კონკურენტულ ტრანსაქციებზე, თუ ინვესტიციის მიმდებარე ფინანსური მონაცემების გათვალისწინება გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით, რომლისთვისაც საგარეო საბაზრო ფასების ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების ტექნიკამ შეიძლება მოითხოვოს ვარაუდები, რომელიც არ არის განმტკიცებული შესაბამისი საბაზრო მონაცემებით. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების გამჟღავნება ხდება მაშინ, თუ ნებისმიერი ასეთი ვარაუდის ცვლილებას მიზანშეწონილად შესაძლებელ აღტერნატივაში შეიძლება შედეგად მოჰყვეს მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები თუ მთლიანი ვალდებულებები.

ხარჯი წარმოადგენს ნაღდი ფულისა, თუ მისი ექვივალენტის თანხას, ან სამართლიან ღირებულებას სხვა კომპენსაცია, რომელიც გაიცემა აქტივის შესაძენად მისი შესყიდვის მომენტში და იგი მოიცავს ტრანსაქციის ხარჯებს. ტრანსაქციის ხარჯები არის ის ხარჯები, რომლებიც წარმოადგენს თანაბრად ზრდა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ შედის ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვაში, გაცემასა, თუ განკარგვაში. ზრდადი ხარჯი არის ერთ-ერთი მათგანი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული, თუ ტრანსაქციას არ ექნებოდა ადგილი. ტრანსაქციის ხარჯებში შედის გასამრჯელოები და საკომისიოები, რომლებსაც უხდიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მრჩეველებს, ბროკერებს და დილერებს, მარეგულირებელი სააგენტოების გადასახადები და ფასუიანი ქალაქების გაცვლა, ასევე გადასახადებისა და ასაკრებლების გადარიცხვა. ტრანსაქციის ხარჯებში არ შედის დავალიანების პრემიუმები, თუ დისკონტები, დაფინანსების ხარჯები, თუ შიდა ადმინისტრაციული, თუ საინვესტიციური ხარჯები.

*ამორტიზირებული ხარჯი* არის ის თანხა, რომლითაც მოხდა ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება თავდაპირველი აღიარებით მინუს ნებისმიერი ძირითადი თანხების დაფარვა, პლუს დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივებისათვის მინუს მომხდარი გაუფასურების ზარალის ნებისმიერი ჩაწერა. დარიცხულ პროცენტში შედის ტრანსაქციის ხარჯების ამორტიზაცია, რომელიც გადავადებულია საწყისი აღიარებით და ნებისმიერი პრემია, თუ დისკონტირება საბოლოო თანხამდე ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. არიცხული

საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დარიცხული კუპონი და ამორტიზირებული დისკონტი, ან პრემია (მათ შორის გასამრჯელოები, რომლებიც გადავადებულია, თუ ასეთი არსებობს), არ წარედგინება ცალკე და შედის დაკავშირებული საბალანსო უწყისის მუხლების მიმდინარე ღირებულებაში.

*ეფექტური პროცენტის მეთოდი* არის საპროცენტო შემოსავლების, თუ საპროცენტო ხარჯების განთავსების მეთოდი შესაბამის პერიოდში ისე, რომ მიღწეული იქნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი მიმდინარე ღირებულებაზე (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მიახლოებითი მომავალი ფულადი გადახდების, თუ ქვითრების (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) დისკონტორებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სიცოცხლისუნარიანობისა, თუ უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა მიმდინარე ღირებულებისადმი. ღირებულების მიმდინარე გამონაგარიშებაში შედის ყველა გადახდილი, თუ მიღებული გასამრჯელო მხარეებს შორის იმ კონტრაქტზე, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (შემოსავლებისა და დანახარჯების აღიარების პოლიტიკის შესაბამისად).

**სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება.** სავაჭრო ფასიანი ქაღალდების, წარმოებულებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით მოგებასა და ზარალში, თავდაპირველი ჩაწერა ხდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის თანდაპირველი ჩაწერა ხდება სამართლიანი ღირებულებით პლუს ტრანსაქციის ფასი. თავდაპირველი აღიარებით სამართლიანი ღირებულების საუკეთესოდ დასაბუთება ხდება ტრანსაქციის ფასით. თავდაპირველი აღიარებით მოგებისა, თუ ზარალის ჩაწერა მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანსაქციის ფასს შორის, რისი დასაბუთებაც შესაძლებელია სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანსაქციებით იმავე ინსტრუმენტში, ან შეფასების ტექნიკით, რომელიც მოიცავს მხოლოდ მონაცემებს დაკვირვებადი ბაზრებიდან.

იმ ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს მიწოდებას იმ დროის მონაკვეთში, რომელიც დაწესებულია დებულებით, ან საბაზრო კონვენციით, ჩაიწერება ვაჭრობის თარიღით, რაც წარმოადგენს თარიღს, როდესაც ბანკი იღებს ვალდებულებას ფინანსური აქტივების გადაცემაზე. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ობიექტი ხდება მხარე ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობებისადმი.

**ფინანსური აქტივების არ აღიარება.** ბანკი არ აღიარებს ფინანსურ აქტივებს, როდესაც (ა) აქტივების გამოსყიდვა ხდება, ან უფლებები ფულადი სახსრების მიმოქცევაზე აქტივიდან სხვაგვარად გადასულია ან (ბ) უფლებები ფულადი სახსრების მიმოქცევაზე ბანკმა გადაიტანა ფინანსური აქტივიდან, ან მოახდინა საკვალიფიკაციო გამსვლელი შეთანხმება მაშინ, როდესაც ასევე გადასცემდა და არ ინარჩუნებდა არსებითად ყველა რისკებსა და საკუთრების წახალისებებს, მაგრამ არ ინარჩუნებდა კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორს არ გააჩნია პრაქტიკული უნარი, მოახდინოს მთლიანი აქტივების რეალიზაცია არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

**ფული და ფულადი ეკვივალენტები.** ფული და ფულადი ეკვივალენტები ის საკითხებია, რომლის კონვერტირება ხდება ცნობილ ტანხებად და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულადი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ეროვნული ბანკისადმი (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო ინსტრუმენტებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც გააჩნიათ გამოცემიდან 90 დღის ვადა. ის სახსრები, რომლებიც შეზღუდულია წარმოშობიდან სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე, გამოირიცხება ფულისა და ფულადი ეკვივალენტებისაგან. ფული და ფულადი ეკვივალენტების წარმოება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

**სავალდებულო რეზერვი და დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში.** სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში გატარდება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენენ უპროცენტო სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად.

**კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები.** კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გატარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკი ფულს გასცემს, რათ შესყიდული იქნას ან წარმოიშვას არაკონტრირებული არაწარმოებული მისაღები ტანხა კლიენტისაგან, რომელიც გადახდილი უნდა იქნას ფიქსირებულ, ან განსაზღვრულ თარიღებზე და არ არის გამიზნული მისაღები თანხებით ვაჭრობისაკენ. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსების წარმოება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

ამორტიზირებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც აღიარებული იქნა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველი აღიარებით ძირითადი თანხის დაფარვების გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებს გამოკლებული ნებისმიერი ჩამოფასება გაუფასურების დანაკარგებთან მიმართებაში. დარიცხული პროცენტი შეიცავს ტრანსაქციის ხარჯების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თანდაპირველი აღიარებიდან და

ნებისმიერი პრემია, თუ დასაფარავი თანხის დისკონტი ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მიმდინარე ღირებულების გამოთვლაში სედის ყველა გასამრჯელო, რომელიც გადახდილი, თუ მიღებული იქნა საკონტრაქტო მხარეებს შორის, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება ამორტიზირებული ღირებულებით.** ბანკი საბალანსო ანგარიშგების შედგენის თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივები ს ჯგუფი გაუფასურებულად მიიხსნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკონტრების ალბათობა და სხვა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

**სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**დაფარვის ვადამდე შენარჩუნებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.** ამ კლასიფიკაციასი შედის კოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დასაფიქსირებელი გადახდებით და ფოქსირებული დაფარვის ვადებით, რამეთუ ბანკს გააჩნია როგორც განზრახვა, ასევე შეუძლია დაფარვის ვადამდე შენარჩუნება. მენეჯმენტი განსაზღვრავს დაფარვის ვადამდე შენარჩუნებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებით და ხელახლა შეაფასებს ამ კლასიფიკაციის შესაბამისობას თითოეული საბალანსო უწყისის თარიღზე. დაფარვის ვადამდე შენარჩუნებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გატარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

**საინვესტიციო საკუთრება.** საინვესტიციო საკუთრება წარმოადგენს იმ საკუთრებას, რომელიც ბანკის მფლობელობაშია, საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გასაზრდელად, რომელს არ არის დაკავებული ბანკის მიერ.

საინვესტიციო საკუთრების განცხადება ხდება ღირებულების მიხედვით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და რეზერვი გაუფასურებისათვის, სადაც ეს საჭიროა. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე მინიშნება იმისა, რომ საინვესტიციო საკუთრება შეიძლება გაუარესდეს, ბანკი გამოითვლის ამოსაღებ თანხას როგორც გამოყენებადი მაღალი ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები. საინვესტიციო საკუთრების მიმდინარე ღირებულება დაფიქსირდება თავისი ამოსაღები თანხით მოგება ზარალის საშუალებით. გაუფასურების ზარალი, რომლის აღიარებაც მოხდა წინა წლებში, გარდაიქმნება, თუ ადგილი ჰქონდა შემდგომ ცვლილებას გაანგარიშებებში, რომელიც გამოყენებული იქნა აქტივების ამოსაღები თანხის განსაზღვრის მიზნით.

მიღებული საიჯარო შემოსავლის გატარება საოპერაციო უწყისში სხვა საოპერაციო შემოსავალში.

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზირება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ალბათობა იმისა, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლები შემოედინება ბანკში და ხარჯების გაანგარიშება შეიძლება განხორციელდეს საიმედოდ. ველა სხვა სახის სარემონტო და საექსპლოატაციო ხარჯების გატარება ხდება მაშინ, როდესაც ამგვარი ხარჯები გაიწევა. იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო საკუთრება დაკავებულია მესაკუთრის მიერ, მისი რეკლასიფიცირება ხდება შენობა-ნაგებობებსა და მოწყობილობებში და მისი მიმდინარე ღირებულება რეკლასიფიცირების თარიღისათვის ხოლო მისი განსაზღვრული ღირებულება შემდგომში გაუფასურდება.

**გუდვილი.** გუდვილი წარმოადგენს შესყიდვის ღირებულების ნამეტ თანხას დასადგენი აქტივებში შემქენის წილის სამართლიან ღირებულებაზე, შექენილი ფილიალისა თუ პარტნიორის ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე გაცვლის თარიღზე. ფილიალების შესყიდვაზე გუდვილი ცალკეა წარმოდგენილი კონსოლიდირებულ საბალანსო უწყისში. პარტნიორის შესყიდვაზე გუდვილის შეტანა ხდება დაკავშირებულ კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებში. გუდვილის გაიანგარიშება ღირებულებით მინუს აკუმულირებული გაუფასურების დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გაუფასურებაზე გუდვილის შემოწმებას ბანკი ახორციელებს სულ მცირე ყოველწლიურად და როდესაც კი არის ნიშნები იმისა, რომ შეიძლება მოხდეს გუდვილის გაუფასურება. უდვილის განთავსება ხდება ფულის შემომტან ერთეულებზე, ან ბანკებში, რომლებიც ისარგებლებენ ბიზნეს კომბინაციის შერწყმით. ამგვარი ერთეულები, თუ ჯგუფები წარმოადგენენ ყველაზე დაბალ დონეს, რომელზედაც ბანკი აკონტროლებს გუდვილს და არ არიან სეკმენტზე უფრო დიდი. ოგება, თუ ზარალი ოპერაციის განკარგვაზე ფულის შემომტან ერთეულში, რომელზედაც განთავსდა გუდვილი, მოიცავს გუდვილის მიმდინარე თანხას, რაც დაკავშირებულია განკარგულ ოპერაციასთან და ზოგადად განისაზღვრება განკარგული ოპერაციების შედარებითი ღირებულებების საფუძველზე და ფულის შემომტანი ერთეულის იმ ნაწილზე, რომელიც შეინახება.

**შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა.** შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა რეგისტრირებულია ღირებულებით მინუს დაგროვილი ცვეთა და რეზერვი გაუფასურებაზე. იზნეს კომბინაციებში შექმნილი შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა თავდაპირველად რეგისტრირდება სამართლიანი ღირებულებით. მიმდინარე მშენებლობა განისაზღვრება ღირებულებით მინუს რეზერვი გაუფასურებაზე, სადაც ეს საჭირო იქნება. ღირებულებაში შედის სესხების ხარჯები რომლებიც გაწეული იქნა სპეციფიკურ და საერთო სახსრებზე, რომლებიც ნასესხები იქნა საკვალიფიკაციო აქტივების მშენებლობაზე. დამთავრებისთანავე აქტივების გადატანა ხდება შენობა-ნაგებობსა და მოწყობილობებში თავიანთი მიმდინარე თანხით. მიმდინარე მშენებლობის ამორტიზირება არ ხდება მანამ, სანამ აქტივები ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად.

მცირე რემონტისა და ექსპლოატაციის ხარჯების გაწევა ხდება მოთხოვნისამებრ. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მთავარი ნაწილებისა, თუ კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზირებულია და შეცვლილ ნაწილი ჩამოიწერება.

ანგარიშების თითოეულ თარიღზე მენეჯმენტი განსაზღვრავს, არის თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ამგვარი რაიმე ნიშანი არსებობს, მენეჯმენტი გამოითვლის ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო მაღალი ღირებულება მინუს სარეალიზაციო ხარჯები და მისი მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე თანხა შემცირდება ამოსაღებ თანხამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება საოპერაციო უწყისში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, გარდაიქმნება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ან სდამართლიან ღირებულებას მინუს სარეალიზაციო ხარჯები.

შემოსავლები და ზარალი განკარგვაზე, რომლებიც განისაზღვრება შემოსავლების შედარებით მიმდინარე თანხასთან, აღიარებულია მოგებაში, ან ზარალში.

**სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ცვლილება.** მიწის ცვეთა არ ხდება. სხვა საგნებისა და შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების ცვეთ გამოიანგარიშება სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, რათა მოხდეს მათი ღირებულების განთავსება ნარჩენ ღირებულებაში მათი გამოანგარიშებული საექსპლოატაციოს პერიოდის განმავლობაში.

	<u>წელი</u>
შენობა-ნაგებობები	25
ოფისი და კომპიუტერული ტექნიკა	5
ავტო და მოწყობილობა	5
ტრანსპორტი	5
საიჯარო გაუმჯობესებები	აღნიშნული იჯარის ვადის განმავლობაში

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის გამოანგარიშებული თანხა, რომელსაც ჯგუფი ამჟამად ღებულობს აქტივების განგარგვიდან, მინუს განკარგვის მიახლოებითი ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ ხნისაა და იმ პირობებშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი საექსპლოატაციო პერიოდის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და საექსპლოატაციო პერიოდი განიხილება და მოხდება მისი შესწორება საჭიროებისამებრ საბალანსო უწყისის თითოეული თარიღისათვის.

**არამატერიალური აქტივები.** ბანკის ყველა მატერიალური აქტივის გაანჩია განსაზღვრული საექსპლოატაციო პერიოდი.

შექმნილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზირება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია სპეციფიკური პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და გამოსაყენებლად. კაპიტალიზირებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზირება ხდება სწორხაზოვნად საექსპლოატაციო პერიოდის განმავლობაში ოთხიდან ხუთ წლამდე.

კლიენტთან ურთიერთობის ღირებულება განისაზღვრება, როგორც ბიზნეს კომბინაციის შედეგად, რომელიც ამორტიზირდება სწორხაზოვნად კლიენტთან ურთიერთობის მოსალოდნელი 10 წლიანი ხალგაძლივობის მანძილზე.

**საოპერაციო იჯარები.** სადაც ბანკი არის მეიჯარე იმ იჯარისას, რომელიც არ გადასცემს ყველა რისკებსა და ჯილდოებს შემთხვევით მოიჯარიდან ბანკზე. მთლიანი საიჯარო გადასახადები გარდაიქმნება მოგებად, თუ ზარალად სწორხაზოვნად იჯარის პერიოდის განმავლობაში.

სხვა ხელშეკრულებებში ჩასმული იჯარები ცალკე გამოიყოფა იმ შემთხვევაში, თუ (ა) შეთანხმების განხორციელება დამოკიდებულია სპეციფიკური აქტივის თუ აქტივების გამოყენებაზე და (ბ) შეთანხმება გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას.

როდესაც ხდება აქტივების იჯარით გაცემა საოპერაციო ლიზინგით, იჯარის გადასახადები აღიარებულია, როგორც საიჯარო შემოსავალი სწორხაზოვნად, იჯარის ვადის მიხედვით.

**დავალიანება სხვა ბანკების მიმართ.** სხვა ბანკების მიმართ დავალიანების თანხების გატარება მოხდება მაშინ, როდესაც ფული, თუ სხვა აქტივები გაიცემა ბანკზე პარტნიორი ბანკების მიერ. რაწარმოებული ვალდებულების დარეგისტრირება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ შეისყიდის თავის საკუთარ დავალიანებას, ვალდებულება ამოღებული იქნება კონსოლიდირებული საბალანსო უწყისიდან და სხვაობა ვალდებულების მიმდინარე თანხასა და გადახდილ კომპენსაციას შორის შეტანილი იქნება მოგებასა, თუ ზარალში, რომელიც გამომდინარეობს დავალიანების დაფარვიდან.

**კლიენტის ანგარიშები.** კლიენტის ანგარიშები წარმოადგენს არაწარმოებულ ვალდებულებებს პიროვნებების, სახელმწიფოს, თუ კორპორატიული კლიენტების მიმართ და მათი გატარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

**სუბორდინირებული სესხი.** სუბორდინირებულ სესხში შედის გრძელვადიანი, არაწარმოებული ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ და მისი გატარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. სუბორდინირებული სესხის დაფარვა მოდის ყველა სხვა კრედიტორების შემდეგ ლიკვიდაციის შემთხვევაში და შეტანილია ბანკის მე-2 დონის კაპიტალში.

**საშემოსავლო გადასახადები.** საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებულია, ან შემდგომში იქნება ამოქმედებული საბალანსო უწყისის თარიღისათვის. საშემოსავლო გადასახადი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და მისი აღიარება ხდება კონსოლიდირებულ საოპერაციო უწყისებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში, რამეთუ იგი დაკავშირებულია ტრანსაქციებთან, რომლების აგრეთვე აღიარებულია იმავე, ან სხვა პერიოდში, პირდაპირ კაპიტალში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი უზრუნველყოფილია საბალანსო ვალდებულების მეთოდით საგადასახადო ზარალის გადატანებით და დროებითი სხვაობებით, რაც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახო საფუძვლიდან და მათი მიმდინარე თანხებიდან ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარების გათავისუფლების შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ დაფიქსირდება დროებითი სხვაობებისათვის აქტივისა, თუ ვალდებულების საწყის აღიარებაზე ტრანსაქციაში, გარდა ბიზნეს კომბინაციისა, თუ ტრანსაქცია, თუ ხდება მისი საწყისი დაფიქსირება, ზემოქმედებას არ ახდენს არც საბუღალტრო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ბალანსები განისაზღვრება საგადასახადო ტარიფებით, რომლებიც ამოქმედებულია, ან შემდგომში ამოქმედდა საბალანსო უწყისის თარიღზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოიყენება იმ პერიოდში, როდესაც დროებითი სხვაობები გარდაიქმნება, ან საგადასახადო დანაკარგების გადატანები ათვისებული იქნება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გამოიყვანება მხოლოდ ბანკის ინდივიდუალური კომპანიებისათვის. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობებისათვის და საგადასახადო დანაკარგის გადატანებისათვის გატარდება მხოლოდ იმ მასშტაბებით, რაც სავარაუდოა, რომ მომავალი დაბეგრი მოგება ხელმოსაწვდომი იქნება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იქნას დაქვითვები.

**სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია შექმნის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაში და სხვა შექმნის შემდგომ მოძრაობებში ფილიალების რეზერვებში, გარდა იმისა, როდესაც ბანი აკონტროლებს ფილიალის სადივიდენდო პოლიტიკას და სავარაუდოა, რომ სხვაობა არ გარდაიქმნება დივიდენდების საშუალებით, ან სხვაგვარდ იქნება გათვალისწინებული მომავალში.

**რეზერვები ვალდებულებებისა და დარიცხვებისათვის.** რეზერვები ვალდებულებებისა და დარიცხვებისათვის არის არაფინანსური ვალდებულებანი განუსაზღვრელი დროითა და თანხით. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ბანკს გააჩნია არსებული იურიდიული და კონტრუქციული ვალდებულებები წარსულის მოვლენების შედეგად. სავარაუდოა, რომ რესურსების გადინება მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს, საჭირო გახდება ვალდებულებების გასატუმრებლად და საიმედო მაჩვენებელი ვალდებულების თანხისა.

**სავაჭრო და სხვა გადასახადები.** სავაჭრო გადასახადები დაირიცხება მაშინ, როდესაც პარტნიორმა შეასრულა თავისი ვალდებულებები კონტრაქტის მიხედვით და გატარდება ამორტიზირებული ღირებულებით.

**სააქციო კაპიტალი.** როგორც ჩვეულებრივი აქციების, ასევე არა-გამოსყიდვითი პრივილეგირებული აქციების დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ინკრემენტალური ხარჯები, რომლებიც პირდაპირ შედის ახალი აქციების გამოშვებაში, ნაჩვენებია კაპიტალში, როგორც დაქვითვა, წმინდა გადასახადი შემოსავლებიდან. კომპენსაციის სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ნაჭარბი მიიღება გაცემული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე გატარდება, როგორც აქციების პრემია კაპიტალში. ნაშთები, რომლებიც მისაღებია აქციონერებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ გადაუხდელ ცაპიტალს, თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით იმ დისკონტით, რომელიც აისახება კაპიტალის რეზერვში. დისკონტის აღრიცხვა აღიარებულია მოგება-ზარალის უწყისით და რეკლასიფიცირებულია დაგროვილი მოგებიდან/ზარალიდან რეზერვებში.

**დივიდენდები.** დივიდენდები გატარდება კაპიტალში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი დეკლარირება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც დეკლარირებულია საბალანსო უწყისის თარიღის შემდეგ, და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციაზე გამოსაშვებად, შეტანილია შემდგომი მოვლენების შენიშვნებში. ბანკის საწესდებო აღრიცხვის ანგარიშები ადგენს საფუძველს მოგების გასანაწილებლად და სხვა ასიგნაციებისათვის. საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს განაწილების საფუძველს, როგორც მიმდინარე წლის წმინდა მოგება.

**შემოსავლისა და ხარჯების აღიარება.** საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები გატარდება კონსოლიდირებულ საოპერაციო ანგარიშგებაში დავალიანების ყველა ინსტრუმენტისათვის დარიცხვის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდით გადავადებული იქნება კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილი, თუ მიღებული ყველა გასამრჯელო, რომელიც წარმოადგენს მოქმედი საპროცენტო განაკვეთის, ტრანსაქციის ღირებულებისა და სხვა პრემიებისა, თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს.

გასამრჯელოები, რომლებიც წარმოადგენს მოქმედი საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავს წარმოშობის გასამრჯელოებს, რომლებიც მიღებულია, ან გადახდილია იმ პირის მიერ, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასა, თუ შესყიდვასთან, ან ფინანსური ვალდებულების დაზღვევასთან, მაგალითად, გასამრჯელოები კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის, გარანტიების, თუ უზრუნველყოფის დარეგისტრირება და შეფასება, ინსტრუმენტის ვადებზე მოლაპარაკება და ტრანსაქციის დოკუმენტაციის დამუშავება. ბანკის მიერ მიღებული საკომისიოები, რომ გასცეს სესხები საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, თუ არსებობს ვარაუდი იმისა, რომ ბანკი გააფორმებს სპეციფიკურ სასესხო შეთანხმებას და არ არის მოსალოდნელი შედეგად მიღებული სესხის რეალიზებას წარმოშობისთანავე. ბანკი არ

დაასახელებს სასესხო ვალდებულებებს, როგორც ფინანსურ ვალდებულებებს სამართლიანი ღირებულებით მოგებისა, თუ ზარალის საშუალებით.

როდესაც სესხები და სხვა დავალიანების ინსტრუმენტები საექვო გახდება ამოსადებად, ხდება მათი ჩამოწერა მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობისა და საპროცენტო შემოსავლების მიმდინარე ღირებულებით და შემდგომში გატარდება მიმდინარე ღირებულების აღრიცხვით, დისკონტო ემყარება აქტივების არსებულ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც გამოყენებული იქნა გაუფასურების ზარალის განსაზღვრისათვის.

ყველა სხვა გასამრჯელო, საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯები საერთოდ გატარდება დარიცხვის საფუძველზე სპეციფიკურ ტრანსაქციასთან დაკავშირებით, რომელის შეფასდება რეალური სერვისის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფილია მომავალში გასაწევ მომსახურების პროპორციულად. სესხის სინდიკაციის საკომისიოების აღიარება ხდება, როგორც შემოსავალი, როდესაც დასრულდა სინდიკაცია და ბანკი თავისთვის არ ინარჩუნებს სასესხო პაკეტის არც ერთ ნაწილს, ან ინარჩუნებს ნაწილს და ამავდროულად არსებულ საპროცენტო განაკვეთს, რაც შეეხება სხვა მონაწილეებს.

საკომისიოები და გასამრჯელოები, რომლებიც გამომდინარეობს მოლაპარაკების შედეგად, ან მესამე მხარის ტრანსაქციისათვის მოლაპარაკებებში მონაწილეობით, როგორცაა სესხების, აქციების, თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, თუ ბიზნესების შექმნა, თუ გაყიდვა, რომლებიც მიიღება ტრანსაქციის განხორციელებით, გატარდება მისი დასრულებისთანავე. პორტფელური და სხვა მენეჯმენტის საკონსულტაციო და მომსახურების საკომისიოები აღიარებულია შესაბამის მომსახურების კონტრაქტების საფუძველზე, ჩვეულებრივ პროპორციული დროის პრინციპით. აქტივების მართვის საკომისიოები, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ფონდებთან გატარდება პროპორციულად იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა. იგივე პრინციპი გამოიყენება სიმდიდრის მართვისათვის, ფინანსური დაგეგმვისა და სამეურვეო მომსახურებებისათვის, რომელთა უზრუნველყოფაც მუდმივად ხდება დროის ფართო პერიოდის განმავლობაში

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის საანგარიშგებო ფუნქციონალურ ვალუტ ას წარმოადგენს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები იზომება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღეს უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას მინუს ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

**გაიქვითვა.** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება და წმინდა თანხის სეტანა ხდება კონსოლიდირებულ საბალანსო უწყისში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი ძალის მქონე უფლება, გაიქვითოს აღიარებული თანხები და არსებობს განზრახვა ან გასწორდეს სუფთად, ან მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ამავდროულად გასწორდეს ვალდებულება.

**პერსონალის ხარჯები და დაკავშირებული შენატანები.** გასამრჯელოები, ხელფასები, შენატანები, ფასიანი წლიური შეგებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებლები ერიცხება წლის განმავლობაში, რომლის განმავლობაშიც დაკავშირებული მომსახურებანი უზრუნველყოფილია ბანკის თანამშრომლის მიერ.

**შესაბამისი ციფრები.** ბანკმა საქმიანობა დაიწყო 2008 წელს, რის შედეგადაც წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებანი არ წარმოადგენს 2007 წლის შესაბამის ციფრებს, გარდა აქციონერებისაგან მისაღები ანგარიშებისა და სააქციო კაპიტალისა.

**4 მნიშვნელოვანი საბუღალტრო გაანგარიშებანი და გადაწყვეტილებები სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას**

ჯგუფი ახდენს გაანგარიშებებსა და აღიარებებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ფინანსურ უწყისებში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე თანხებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ხდება გაანგარიშებებისა და გადაწყვეტილებების მუდმივ შეფასებას და ემყარება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოსალოდნელობას, რაც სჯერათ, რომ მიზანშეწონილია არსებულ ვითარებაში. მენეჯმენტი აგრეთვე ღებულობს გადაწყვეტილებებს, გარდა იმისა, რომლებშიც შედის გაანგარიშებები, სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში. ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ყველაზე მეტ ზემოქმედებას ახდენენ ფინანსურ უწყისებში აღიარებულ თანხებსა და გაანგარიშებებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შესწორებები აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე თანხებში მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

**გაუფასურების ზარალი და ავანსები.** ბანკი რეგულარულად მიმოიხილავს თავის სასესხო პორტფელს გაუფასურების შეფასების მიზნით. იმის განსაზღვრის მიზნით, გაუფასურების ზარალის გატარება მოხდეს თუ არა საოპერაციო უწყისში, ბანკი ღებულობს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, არის, თუ არა რაიმე შესამჩნევი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ საგრძნობლად შემცირდა ფულადი სახსრების მიმოქცევის მიახლებით გაანგარიშებაში სასესხო პორტფელიდან, სანამ აღინიშნება შემცირება ინდივიდუალური სესხით ინ პორტფელში. ამ დასაბუთებაში შეიძლება შედიოდეს დასაკვირვებელი მონაცემები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ აღგილი ჰქონდა უარყოფით ცვლილებას მსესხებლის გადახდისუნარიანობაში ჯგუფურად, ან სახელმწიფო, თუ ასდგილობრივი პირობები, რომლების ურთიერთდაკავშირებული დარღვევებთან აქტივებზე ჯგუფში, მენეჯმენტი იყენებს გაანგარიშებებს, რომელიც ემყარება იმ აქტივების დანაკარგების წარსულ გამოცდილებას, რომლებიც ხასიათდება საკრედიტო რისკით და გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებით, ისევე, როგორც პორტფელში, როდესაც ხდება მისი ფულადი სახსრების მომავალი მიმოქცევის დაგეგმვა. მეთოდოლოგია და ვალდებულებები, რომლებიც გამოიყენება როგორც ფულადი სახსრების მომავალი მიმოქცევის

თანხის, ასევე დროის პერიოდის გაანგარიშებისას, განიხილება რეგულარულად, რათა შემცირებული იქნას ნებისმიერი სხვაობები ზარალის გაანგარიშებასა და რეალური ზარალის გამოცდილებას შორის.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკის შემცირებისთვის ზომების გატარებასა და მონიტორინგზე. ასევე პასუხისმგებელია უზრუნველყოს ბანკის მუშაობა დამტკიცებული რისკის პარამეტრების ფარგლებში. რისკის მართვაზე პასუხისმგებელი დირექტორთა საბჭოს წევრი რისკის მართვის დეპარტამენტთან ერთად, რომელიც ანგარიშს აბარებს დირექტორს, პასუხისმგებელია მთლიანი რისკის მართვაზე, უზრუნველყოფს საერთო პრინციპებისა და მეთოდების განხორციელებას და ახდენს ფინანსური და არაფინანსური რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, შემცირებას, მართვას და შესაბამისი ანგარიშის წარდგენას.

რისკის მართვის კომიტეტს ხელმძღვანელობს რისკის მართვაზე პასუხისმგებელი წევრი დირექტორთა საბჭოდან. ეს კომიტეტი პასუხისმგებელია რისკის მართვის მეთოდოლოგიების შემუშავებაზე და უზრუნველყოფს რომ ბანკის რისკის მიმართ მიდრეკილება ზუსტად იყოს ასახული ბანკის სტრატეგიულ და ბიზნეს გეგმებში. ეს არის ადგილი, სადაც განიხილავენ ცვლილებებს რისკის მიდგომებსა და პროცედურებში და ამ ცვლილებებზე რეკომენდაციას უწევენ დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს. ეს კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ რისკის მართვის დეპარტამენტმა, საკრედიტო კომიტეტმა და აქტივებისა და პასივების კომიტეტმა, ასევე დირექტორთა საბჭომ გადაჭრან ბანკის წინაშე არსებული ყველა პოტენციური რისკი და შესაბამისი ანგარიში წარუდგინონ სამეთვალყურეო საბჭოს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის შიდა კონტროლის სტრუქტურის მონიტორინგზე და რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შეფასებაზე, როგორც ბანკის შიდა კონტროლის განუყოფელ ნაწილზე. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე არის დამოუკიდებელი პროფესიონალი აუდიტი, ხოლო კომიტეტის დანარჩენი ოთხი წევრი არის ოთხი აქციონერის წარმომადგენელი. აუდიტორული კომიტეტის წევრები არ შეიძლება იყვნენ ბანკის თანამშრომლები. ისინი რეკომენდაციას უწევენ დირექტორთა საბჭოს, რისკების მართვის კომიტეტს და სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურის შემუშავებასთან დაკავშირებით, ასევე გამოსატყავენ თავის შეხედულებებს რისკების მართვის ხარისხზე და შესაბამისობას დადგენილ პოლიტიკასთან, პროცედურასა და ლიმიტებთან. აუდიტის კომიტეტი კურირებს შიდა აუდიტის მუშაობას, რომელიც პირდაპირ არის ანგარიშვალდებულია აუდიტის კომიტეტთან. შიდა აუდიტის სამუშაო გეგმები, აუდიტის ჩატარების გრაფიკი და მათი ანგარიშები, მათ შორის დაუბეგმავი აუდიტი, დაწვრილებით განიხილება და მტკიცდება აუდიტის კომიტეტის მიერ.

სამოქმედო გეგმები, რომლებიც ეფუძნება შიდა აუდიტისა და აუდიტორული კომიტეტის რეკომენდაციებს, მათ შორის ანგარიში არსებული მდგომარეობის შესახებ, მიეწოდება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა საერთო კრებას.

საკრედიტო კომიტეტი შედგება ხუთი წევრისაგან. კომიტეტის კანდიდატურების წამოყენება ხდება რისკის მართვის კომიტეტისა და დირექტორთა საბჭოს მიერ, ხოლო არჩევა კი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. საკრედიტო კომიტეტი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მართავს და ამტკიცებს, ან იძლევა რეკომენდაციას დასამტკიცებლად, კორპორატიული, მცირე და ფინანსური ორგანიზაციების საკრედიტო რისკებთან დაკავშირებით, იმ კრედიტის ლიმიტის ფარგლებში, რომლის დამკვიცვაც მათი პრეროგატივაა. საკრედიტო კომიტეტი მუდმივად განიხილავს და იძლევა რეკომენდაციებს გასაანალიზებელ მეთოდოლოგიასა და პორტფელის ხარისხთან დაკავშირებით, მთლიანი სტრუქტურის, დივერსიფიკაციისა და ფასის დადგენის საკითხების ჩათვლით. საკრედიტო კომიტეტი არის ერთ-ერთი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დამტკიცებისა და უფლებამოსილების ლიმიტებს და მაღალ სტანდარტებს რისკების ანალიზისა და შეფასებისათვის.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO) პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და პასივების სტრუქტურის მართვასა და ოპტიმიზაციაზე. ის არის რისკის მართვის პროცესის შემადგენელი ნაწილი, რაც ძირითადად ეურადღებებს ამახვილებს საბაზრო რისკებზე, როგორცაა ლიკვიდურობით, უცხოური ვალუტით და საპროცენტო განაკვეთით გამოწვეული რისკები. ALCO-ს ფუნქციებში შედის ზემოთხსენებულ რისკებთან დაკავშირებული პოლიტიკის, სტრატეგიებისა და ლიმიტების დამტკიცებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება. კომიტეტი პასუხისმგებელია წარმოადგინოს დროული და სანდო ინფორმაცია და ანგარიშები ამ რისკებთან დაკავშირებით. ALCO ასევე ეხმარება ბანკს ფასის ფორმირების პოლიტიკისა და დაფინანსების სტრატეგიის შემუშავებაში. ALCO ბანკის სხვა რისკის მართვის სტრუქტურებთან და მაკონტროლებელ ორგანოებთან ერთად პასუხისმგებელია იმაზე, რომ უზრუნველყოს ხაზინისა და სხვა შესაბამისი განყოფილებების მუშაობა ALCO-ს, რისკების მართვის კომიტეტის, მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ერთობლივად დადგენილი პარამეტრებით.

## **26 ფინანსური რისკის მართვა ( გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი.** საკრედიტო რისკი არის ბანკისთვის ფინანსური დანაკარგის რისკი თუ კლიენტი ან დაკავშირებული მხარე დროულად ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკის დიდი ნაწილი მოდის ბანკის სესხებზე, ასევე კლიენტებსა და ბანკებზე გაცემულ საავანსო თანხებზე და შიდა და გარე საბალანსო მუხლებზე. რისკის შესახებ ანგარიშებისათვის, ბანკი ითვალისწინებს და აერთიანებს საკრედიტო რისკის ყველა შესაძლო გამოვლენას, კერძოდ ინდივიდუალური კლიენტის, დაკავშირებული მხარის გადახდის უუნარობის და ზოგადად ინდუსტრიის განსახილველ სფეროში არსებულ რისკს.

საკრედიტო რისკის მართვა იურიდიული პირების, კერძო ფიზიკური პირებისა და ფინანსური ორგანიზაციებისთვის ხდება თითოეული გაცემული სესხის დამტკიცების სტრუქტურით მიდევნით. კერძოდ,

უზრუნველყოფილი სესხებისათვის:

- სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტს 400 000 ლარზე ზემოთ და იკრიბება რეგულარულად;
- დირექტორთა საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტს 85 000 ლარიდან მაქსიმუმ 400 000 ლარამდე და იკრიბება რეგულარულად;
- საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტს 85 000 ლარს ქვემოთ და იკრიბება რეგულარულად.

სესხის დამტკიცების სტრუქტურა არაუზრუნველყოფილი სესხებისათვის იგივეა, რაც უზრუნველყოფილი სესხებისთვის.

დირექტორთა საბჭო ასევე ამტკიცებს სესხების უფლებამოსილების ფარგლებს და ლიმიტებს:

- ფილიალებისთვის
- გირაოს ტიპისა და კოეფიციენტის (სესხის ღირებულებასთან ფარდობის) მიხედვით
- ინდივიდუალისთვის

**საკრედიტო რისკის მართვა.** საკრედიტო რისკის პოლიტიკის შემუშავება ხდება რისკის მართვის კომიტეტისა და დირექტორთა საბჭოს მიერ რისკის პროფილისა და ბანკის სტრატეგიული გეგმების შესაბამისად.

პოლიტიკა ადგენს:

- დაკავშირებული მხარის მიერ რისკის წარმოშობის, ანალიზის, კონტროლისა და დამტკიცების პროცედურებს;
- დაკავშირებული მხარეების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- დაკავშირებული მხარეების საკრედიტო რეიტინგის მეთოდოლოგიას;
- გირაოს შეფასებისა და კონტროლის მეთოდს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხის ადმინისტრირების პროცედურას;
- საკრედიტო რისკის გამოვლენის მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს;
- გარემოსდაცვით რეგულირებას;
- სესხის დანაკარგების რეზერვის რეგულირებას.

სესხზე /კრედიტზე მოთხოვნის წარმოშობის ინიცირება, ხოლო შემდეგ მისი ფორმირება ხდება საკრედიტო მენეჯერების მიერ. სესხის განაცხადები უფლებამოსილების ფარგლებში მტკიცდება ფილიალების ან საკრედიტო კომიტეტის მიერ. შემდეგ, ამ დამტკიცებული განაცხადის ასლები გადაეცემა რისკების მართვის განყოფილებას მათი კონტროლისა და მონიტორინგის პროგრამაში შესაყვანად. დადგენილი ლიმიტების ზემოთ არსებული საკრედიტო რისკის შესახებ მოთხოვნები ეგზავნება რისკების მართვის განყოფილებას, რომელიც ატარებს მეორად ანალიზს და წარმოადგენს შესაბამის ანგარიშს. თუ კი მოთხოვნილი კრედიტი არის დადგენილ ლიმიტზე ნაკლები და მას პოზიტიურად შეაფასებს რისკის მართვის განყოფილება და ხელს მოაწერენ შესაბამისი პირები მაშინ მოთხოვნა ჩაითვლება დამტკიცებულად. რისკების მართვის განყოფილებიდან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მოთხოვნა გადაეგზავნება საკრედიტო კომიტეტს გადაწყვეტილების გადასახედად. თუ მოთხოვნა დამტკიცდება და მოთხოვნილი თანხა აღემატება საკრედიტო კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებს, სასესხო განაცხადი დასამტკიცებლად გაეგზავნება დირექტორთა საბჭოს. დიდი თანხები, როგორც ზემოთ არის განსაზღვრული, უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

გარესაბაღანსო უწყისის ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განისაზღვრება, ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მხარის მიერ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალის მიღების შესაძლებლობით. პირობითი ვალდებულებების აღებისას ბანკი იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას, რასაც საბაღანსო ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში კრედიტის დამტკიცების, რისკის კონტროლის ლიმიტებისა და მონიტორინგის პროცედურების შესაბამისად.

ბანკი იყენებს კრედიტ ინფოს, პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც შექმნილია მესამე მხარის მიერ პოტენციურად სარისკო მომხმარებლების იდენტიფიცირებისთვის. კრედიტთან დაკავშირებით შეფასებები კეთდება პორტფელზე დაყრდნობით, ფოკუსირება ხდება სესხის თანხასა და ვადაზე, დამტკიცების პროცედურებზე, მიზნობრივ ჯგუფებზე, პროდუქტის ტიპებზე.

დეფოლტის სტატისტიკაზე, კრედიტის/ღირებულების კოეფიციენტზე (თუ შესაძლებელია) და ფასის დადგენაზე.

## **26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**

**გირაო და კრედიტის გამყარების სხვა საშუალებები.** საკრედიტო რისკის საფრთხის შეფასება და მართვა ნაწილობრივ ხდება გირაოს მიღებით, კონტრილითა და მონიტორინგით, ქონებაზე იპოთეკის უფლების, აქტივებისა და ფასიანი ქაღალდების დაგირავების სახით, ასევე გირაოს სხვა ფორმით, კერძოდ, ანაბრებით, კორპორატიული და პერსონალური გარანტიებით.

მიუხედავად იმისა, რომ გირაო რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკრედიტო რისკის შეფასებაში, ბანკის პოლიტიკა ძირითადად მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ გირაოს უზრუნველყოფისაკენ, არამედ იმის შესაფასებლად თუ რამდენად შეეძლება კლიენტებს ნასესხები თანხის უკან დაბრუნება. ზრუნველყოფა წარმოადგენს სესხის დაფარვის მეორად წყაროს. ზოგიერთ შემთხვევაში, სესხი შეიძლება არც იყოს უზრუნველყოფილი კლიენტის მდგომარეობის, შეთავაზებული პროდუქტის ტიპის ან მოთხოვნილი თანხის გათვალისწინებით. ბანკს აქვს სხვადასხვა ლიმიტები რისკიანი პორტფელის არაუზრუნველყოფილ სესხებზე.

ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- კომერციული უძრავი ქონება
- საცხოვრებელი უძრავი ქონება
- კომპანიის ძირითადი საშუალებები
- კომპანიის ლიკვიდური ატივები
- სატრანსპორტო საშუალებები
- ვადიანი ანაბარი
- სხვა, მათ შორის ძვირფასი ლითონები

ყველა სახის გირაოს შემთხვევაში ადგილი აქვს მათ ზუსტ შეფასებას, საჭირო დოკუმენტაციის შედგენას და საჭიროების მიხედვით რეგისტრაციის პროცედურების განხორციელებას.

**დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი.** საქართველოს ეროვნულ ბანკს (NBG) მკაცრი ფორმულირება აქვს “დაკავშირებული მხარეების” კატეგორიასთან დაკავშირებით. ძირითადად, ასეთ მხარეებში მოიაზრება ის კომპანიები, რომელთაც ფლობენ და მართავენ აქციონერები, კერძო პირები ან ოჯახის უახლოესი წევრები. ასევე, აქ შედიან ის პირებიც, რომლებიც ბანკის მენეჯმენტის მაღალ პოზიციებზე იმყოფებიან. NBG-ის მოთხოვნებზე დაყრდნობით ყველაზე დიდი სესხი, რომელიც გაიცემა თითოეულ დაკავშირებულ მხარეზე არ უნდა აღემატებოდეს ბანკის კაპიტალის 5%.

**სესხის დანაკარგების რეზერვი.** ბანკი ქმნის რეზერვს სესხის შესაძლო დანაკარგების დასაფარად. იგი წარმოადგენს ბანკის იმ შესაძლო ზარალის შეფასებას, რომელსაც ადგილი აქვს რისკის გამოვლენის შემთხვევაში. საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS) საფუძველზე მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, ბანკი იყენებს სესხის დანაკარგების დადგენის იმ მეთოდოლოგიას, რომელიც მოცემულია *IAS 39 სტანდარტში* და ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს, კერძოდ შეფასების აღიარებას.

**საკრედიტო რისკის მაქსიმალური გამოვლენა.** ბანკის საბალანსო უწყისის საკრედიტო რისკის მაქსიმალური გამოვლენა ზოგადად გამოიხატება საბალანსო უწყისში ფინანსური აქტივების მიმდინარე ღირებულებაში. აქტივებსა და ვალდებულებებს შორის განსხვავების გავლენა საკრედიტო რისკის შესაძლო გამოვლენის შესამცირებლად უმნიშვნელოა.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი გარესაბალანსო მუხლებისთვის, როგორცაა აკრედიტივები და გარანტიები, განისაზღვრება დარიცხული ვალდებულებებით. ბანკის გარესაბალანსო საკრედიტო

რისკის მაქსიმალური გამოვლენა წარმოდგენილია 28-ე შენიშვნაში: “გაუთვაკისწინებელი მუხლები და ვალდებულებები”.

საკრედიტო რისკი გარესაბაღანსო უწყისის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის განისაზღვრება იმ ზარალის მიღების შესაძლებლობით, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტორი მეორე მხარის მიერ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობით. პირობითი ვალდებულებების აღებისას ბანკი იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას, რასაც საბაღანსო ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, კრედიტის დამტკიცების დადგენილი პროცედურის, დაწესებული რისკის კონტროლის ლიმიტებისა და მონიტორინგის პროცედურების შესაბამისად.

**26 ფინანსური რისკი მართვა ( გაგრძელება)**

**საბაზრო რისკი.** ბანკი ასევე დგას საბაზრო რისკის გამოვლენის წინაშე. საბაზრო რისკები წარმოიშობა ვალუტის, საპროცენტო განაკვეთისა და ფასიანი ქაღალდების ღია პოზიციებიდან, რომლებიც დამოკიდებული ბაზრის ცვლილებასთან (ვოლატილობასთან). მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს რისკის მისაღებ მოცულობაზე რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

**სავალუტო რისკი.** ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედებს ადგილობრივი/უცხოური ვალუტის კურსში მომხდარი ცვლილებები. სავალუტო რისკი არის რისკი, როცა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება გავლენას ახდენს ბანკის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ღირებულებაზე. ვალუტის კურსთან დაკავშირებით ბანკის რისკის მართვის პოლიტიკაში მთავარია ის, რომ არ მოხდეს სავაჭრო პოზიციის დაკავება რომელიმე ვალუტაში. თუმცა, ცალკეულ მცირე რაოდენობით ღია პოზიციები ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციების თამდვეია. ბანკი ყოველთვის ცდილობს, ვალუტის მიხედვით ერთმანეთს შეუსაბამოს აქტივები და ვალდებულებები.

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, მენეჯმენტი აწესებს რისკის ლიმიტებს ვალუტის მიხედვით ჯამურ თანხაზე, როგორც ღამის ის დღის პოზიციებისთვის და უწევს მონიტორინგს ყოველდღიურად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვალუტის გაცვლითი კურსის რისკის მიმართ ბანკის მდგომარეობა საბალანსო უწყისის თარიღისთვის.

	31 დეკემბერი 2008			31 დეკემბერი 2007		
	მონეტა რული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ბალანსი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ბალანსი
<i>ათასი ლარი</i>						
ლარი	43,110	40,283	2,827	16,000	-	16,000
აშშ დოლარი	87,893	86,058	1,835	-	-	-
ევრო	18,568	18,496	72	-	-	-
ფუნტი სტერლინგ	353	355	(2)	-	-	-
რუსული რუბლი	160	43	117	-	-	-
შვეიცარიული ფრანკი	43	4	39	-	-	-
<b>სულ</b>	<b>150,127</b>	<b>145,239</b>	<b>4,888</b>	<b>16,000</b>	<b>-</b>	<b>16,000</b>

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები კაპიტალში და არამონეტარული აქტივები არ იძლევა რაიმე მატერიალური სავალუტო რისკის გამომწვევის მიზეზს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგძნობიარობა სავალუტო კურსის შესაძლო ცვლილებების მიმართ ბალანსის თარიღისთვის ბანკის მიერ გამოყენებულ ფუნქციურ ვალუტებთან მიმართებაში, როცა ყველა სხვა ცვლადები მუდმივია.

<i>ათასი ლარი</i>	31 დეკემბერი 2008	
	გავლენა	გავლენა

	მოგება- ზარალზე	კაპიტალზე
დოლარის გამყარება 10%- ით	184	-
დოლარის დასუსტება 10%- ით	(184)	-
ევროს გამყარება 5%- ით	4	-
ევროს შესუსტება 5% - ით	(4)	-
რუბლის გამყარება 5% ით	6	-
რუბლის შესუსტება 5% - ით	(6)	-
შევიცარული ფრანკის გამყარება 5%- ით	2	-
შევიცარული ფრანკის შესუსტება 5%	(2)	-
სტერლინგის გამყარება by 5%	-	-
სტერლინგის შესუსტება 5% - ით	-	-
<b>სულ</b>	<b>196</b>	<b>-</b>

სავალუტო რისკის გამოვლენა გამოთვლილ იქნა მხოლოდ იმ მონეტარული ნაშთებისთვის, რომლებიც გამოსახულია ბანკის ფუნქციური ვალუტისაგან ნაშთებისთვის, ვალუტაში. განსხვავებულ

**26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**

ბანკის სავალუტო რისკის მიმართ დამოკიდებულება ბალანსის თარიღისათვის არ ასახავს მთელი წლისთვის დამახასიათებელ რისკს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძობიარობა ვალუტის კურსის იმ შესაძლო ცვლილებების მიმართ, რომელიც ეხება სავალუტო რისკის საშუალო გამოვლენას წლის განმავლობაში, როცა სხვა ცვლადები მუდმივია.

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2008	
	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
დოლარის გამყარება 10%-ით	89	-
დოლარის დასუსტება 10%-ით	(89)	-
ევროს გამყარება 5%-ით	9	-
ევროს შესუსტება 5% -ით	(9)	-
რუბლის გამყარება 5% -ით	3	-
რუბლის შესუსტება 5% -ით	(3)	-
შევიცარული ფრანკის გამყარება 5%-ით	1	-
შევიცარული ფრანკის შესუსტება 5%	(1)	-
სტერლინგის გამყარება 5%	1	-
სტერლინგის შესუსტება 5% -ით	(1)	-
<b>სულ</b>	<b>103</b>	<b>-</b>

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე ზეგავლენას ახდენს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთის ფლუქტუაციები (ცვლილებები). ასეთი ცვლილებების შედეგად საპროცენტო განაკვეთის მარჯა შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს და გამოიწვიოს დანაკარგები მაშინ, როცა მოულოდნელ ფლუქტუაციებს ექნება ადგილი. მენეჯმენტი ყოველდღიურად აკონტროლებს სიტუაციას და აწესებს ლიმიტებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების იმ შეუსაბამობის დონეზე, რომელიც განხორციელებადია.

ამჯერად, ბანკის მიერ საპროცენტო რისკის მართვა შეძლებისდაგვარად ხდება დაფარვის ვადიანობისა და გადაფასების პოზიციების შესაბამისობით. ამასთან, მუდმივად ხდება ბანკის მიერ ერთოვანი საპროცენტო მარჯის გადახედვა, რათა საჭიროების მიხედვით მოხდეს მისი აქტივების გადაფასება. საოპერაციო პროცედურების მიხედვით, მისაღები საპროცენტო განაკვეთის მარჯა მინიმუმ 10%-ია. აქტივებისა და ვალდებულებების და რისკის მართვის განყოფილება მუდმივად უწევს მონიტორინგს ამ მარჯის შენარჩუნებას. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი ასევე ვალდებულია წარმოადგინოს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ანგარიში და პროგნოზი. ამჟამად, ბანკის შესაბამისობის პოლიტიკისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის მარჯის გამო, შესაძლო საპროცენტო რისკი უმნიშვნელოა. ყველა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს აქვთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი და ხაზინა პასუხისმგებელია საპროცენტო რისკის მართვაზე, რისკის მართვის განყოფილება კი მის კონტროლზე, ხოლო დირექტორთა საბჭომ უნდა დაამტკიცოს ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა სახელმძრვანელო და აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების პროცედურა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბანკის დამოკიდებულება საპროცენტო რისკის მიმართ. ცხრილში წარმოდგენილია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სრული თანხა საბალანსო ღირებულებით, და კლასიფიცირებულია საკონტრაქტო პროცენტის

**JSC KOR STANDARD BANK****Notes to the Consolidated Financial Statements – 31 December 2008**

განაკვეთის გადაფასებით ან დაფარვის ვადებით იმის მიხედვით, რომელსაც უფრო ადრე ექნა აღგილი.

ათასი ლარი	მთხოვნა 1 თვემდე	1-დან 6 თვემდე	6- დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
<b>31 დეკემბერი 2008</b>					
სულ ფინანსური აქტივები	38,166	35,979	12,846	63,136	<b>150,127</b>
სულ ფინანსური ვალდებულებები	65,769	56,460	11,769	11,241	<b>145,239</b>
<b>განსხვავება 2008 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით</b>	<b>(27,603)</b>	<b>(20,481)</b>	<b>1,077</b>	<b>51,895</b>	4,888
<b>31 დეკემბერი 2007</b>					
სულ ფინანსური აქტივები	-	16,000	-	-	<b>16,000</b>
<b>განსხვავება 2007 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით</b>	-	<b>16,000</b>	-	-	<b>16,000</b>

**26 ფინანსური რისკის მართვა ( გაგრძელება)**

ბანკი მონიტორინგს უწევს საპროცენტო განაკვეთს მისი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ის საშუალო საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც წარმოდგენილია მენეჯმენტის მიერ განხილულ ანგარიშებში:

წლიური %	2008		
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
<b>აქტივები</b>			
ფული და მისი ეკვივალენტები	11.50	9.00	4.50
კლიენტებზე გაცემული სესხები და საავანსო თანხები			
- კორპორატიული სესხები	20.00	24.00	20.00
- იპოთეკური სესხები	-	23.00	-
- სესხები ფიზიკური პირებისთვის – სამომხმარებლო	24.00	24.00	19.50
- სესხები ფიზიკური პირებისთვის – სამეწარმეო	28.00	30.00	-
- სალომბარდე სესხები	-	25.80	-
სხვა ფინანსური აქტივები	-	3	-
<b>ვალდებულებები</b>			
სხვა ბანკებისთვის გადასახდელი კლიენტის ანგარიშები	6.50	8.00	-
- მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშები	6.50	5.00	4.00
- ვადიანი ანაზრები	12.00	9.80	8.50
სუბორდინირებული სესხი	-	11.00	-

“-“ ნიშანი მოცემულ ცხრილში მიუთითებს იმაზე, რომ ბანკს არ აქვს შესაბამისი აქტივი ან ვალდებულება შესაბამის ვალუტაში.

**გეოგრაფიული რისკის კონცენტრაცია.** ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2008 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	Georgia	OECD	Non-OECD	Total
<b>აქტივები</b>				
ფული და მისი ეკვივალენტები	37,502	96	222	<b>37,820</b>
ძირითადი სარეზერვო დეპოზიტები NBG-ში	4,941	-	-	<b>4,941</b>
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	84,728	-	-	<b>84,728</b>
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>	<b>586</b>	<b>188</b>	<b>21,864</b>	<b>22,638</b>
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>127,757</b>	<b>284</b>	<b>22,086</b>	<b>150,127</b>
<b>არაფინანსური აქტივები</b>	<b>57,735</b>	-	-	<b>57,735</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>185,492</b>	<b>284</b>	<b>22,086</b>	<b>207,862</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სხვა ბანკებისთვის გადასახდელი კლიენტის ანგარიშები	1,815	-	-	<b>1,815</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	109,054	713	3,661	<b>113,428</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	487	40	21,078	<b>21,605</b>
შუბორდინირებული სესხი	8,391	-	-	<b>8,391</b>
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>119,747</b>	<b>753</b>	<b>24,739</b>	<b>145,239</b>

არაფინანსური ვალდებულებები	1,534	-	-	1,534
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>121,281</b>	<b>753</b>	<b>24,739</b>	<b>146,773</b>
<b>ბალანსი</b>	<b>64,211</b>	<b>(469)</b>	<b>(2,653)</b>	<b>61,089</b>
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები	26,540	-	-	26,540

**26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**

**სხვა რისკის კონცენტრაცია.** მენეჯმენტი უწევს მონიტორინგს და წარმოადგენს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას მსესხებლებთან დაკავშირებული სხვადასხვა ანგარიშების საფუძველზე. 2008 წლის 31 დეკემბერს ბანკს არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია.

მენეჯმენტი განსაზღვრავს რისკის კონცენტრაციას იმ რაოდენობრივი მონაცემების შეფასებით, რომლებიც საანგარიშო პერიოდისთვის გამოხატავს ბანკის რისკთან დამოკიდებულებას. წარდგენილი ანგარიში ეფუძნება იმ ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება ბანკის მენეჯმენტს და რომელიც მოიცავს ანგარიშს იმ რისკების კონცენტრაციაზე, როგორცაა სავალუტო, საკრედიტო და საპროცენტო რისკები.

**ლიკვიდობის რისკი.** ეს არის რისკი როცა ბანკს უნდება სიძნელეები თავისი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად. აქ იგულისხმება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობა, რომელიც დააკმაყოფილებს დეპოზიტებიდან თანხების გატანას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი საჭიროების შემთხვევაში. ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. ვადიანობის ეს შესაბამისობა ან კონტროლირებადი შეუსაბამობა და აქტივებისა და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი უმნიშვნელოვანესია ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის საქმეში.

ლიკვიდობის რისკის მართვისთვის, ბანკი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასებით, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შემადგენელ ნაწილს. დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭო აწესებენ ლიმიტებს დასაფარი თანხის მინიმალურ ნაწილზე ანაბრებიდან თანხის გატანის შემთხვევაში, ასევე ბანკთაშორისი და სასესხო საშუალებების იმ მინიმალურ ნაწილზე, რომელმაც უნდა დაფაროს თანხის გატანა როგორც ნორმალურ ისე დაძაბულ სიტუაციებში. ისინი ასევე ადგენენ პარამეტრებს ვალდებულების ბაზის რისკის დივერსიფიკაციისათვის.

საქართველოს ეროვნულ ბანკს განსაზღვრავს ლიკვიდობისთვის საჭირო მინიმალურ დონეს

ბანკის ლიკვიდობის პოლიტიკა მოიცავს:

- ფულადი სახსრების მოძრაობის დაგეგმვას და ლიკვიდური აქტივების იმ დონეზე შენარჩუნებას, რაც საჭიროა ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად დროს სხვადასხვა შუეაღედში

- იმ გეგმის შენარჩუნებასა და დაფინანსებას, რომელიც შეესაბამება ბანკის სტრატეგიულ მიზნებს
- დივერსიფიცირებული ფინანსური წყაროების შენარჩუნებას ბანკის კრედიტუნარიანობის გასაზრდელად, როგორც ადგილობრივი ისე უცხოური წყაროებიდან ფინანსების მისარებად
- მაღალი ლიკვიდობისა და მაღალხარისხიანი აქტივების შენარჩუნებას
- პროდუქტების ბაზის ცვლილებას დროის შუალედებში არსებული დაფინანსების წყაროების შესაბამისად
- ლიკვიდობის კოეფიციენტის ყოველდღიურ მონიტორინგს კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
- დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივ მონიტორინგს.

ბანკის ხაზინის ფუნქციებში შედის შემდეგი ვალდებულებები:

- საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდობის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე შესაბამისობა ლიკვიდობის მოთხოვნების იმ მუხლებთან, რომლებიც შედის უცხოურ მსესხებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში
- მენეჯმენტისთვის წარდგენილი ყოველდღიური ანგარიში, მათ შორის მენეჯმენტის ინფორმირება ძირითად ვალუტებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო) ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზის შესახებ, ასევე ფულის პოზიციისა და საბალანსო უწყისის ცვლილებების შესახებ;
- ლიკვიდური აქტივების მუდმივი კონტროლი / მონიტორინგი;
- დეპოზიტისა და სხვა ვალდებულებების კონცენტრაციის მონიტორინგი;
- ფულადი სახსრების სწრაფად გაზრდის გეგმის შენარჩუნება დაძაბულ სიტუაციებში ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი პასუხისმგებელია იმაზე, რომ ხაზინამ სათანადოდ მართოს ბანკის ლიკვიდურობა. რისკის მართვის განყოფილება კი პასუხისმგებელია, ამ საქმიანობის გასაკონტროლებლად. ლიკვიდობის პოზიციებთან და მათ მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს დირექტორთა საბჭო.

**26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2008 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადის მიხედვით. ცხრილში წარმოდგენილი თანხები არის კონტრაქტით განსაზღვრული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადი სრული სასესხო ვალდებულებების ჩათვლით. ასეთი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადი განსხვავდება საბალანსო უწყისში მოცემული თანხისგან, რადგან საბალანსო თანხა ეყრდნობა დისკონტირებულ ფულადი სახსრების ნაკადს. ბალანსის თარიღისთვის გადახდები უცხოურ ვალუტაში გადმოყვანილია ლარში “სპოტ” კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 20008 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6- დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე ზევით	სულ
<b>ვალდებულებები</b>						
სხვა ბანკებისთვის						
გადასახდლები	1,522	-	-	2,731	-	<b>4,253</b>
კლიენტის ანგარიშები	63,451	36,939	11,814	8,093	2,284	<b>122,581</b>
სუბორდინირებული სესხი	73	364	437	3,495	15,109	<b>19,478</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,034	21,031	-	-	-	<b>22,065</b>

მთლიანი სასესხო ვალდებულებები	26,540	-	-	-	-	<b>26,540</b>
----------------------------------	--------	---	---	---	---	---------------

<b>ფინანსური ვალდებულებებზე მოსალოდნელი მთლიანი გადახდები</b>	<b>92,620</b>	<b>58,334</b>	<b>12,251</b>	<b>14,319</b>	<b>17,393</b>	<b>194,917</b>
---	---------------	---------------	---------------	---------------	---------------	----------------

ბანკი არ იყენებს ზემოთ წარმოდგენილ არადისკონტირებულ ვადიანობას ლიკვიდობის სამართავად. სამაგიეროდ, ბანკი ახორციელებს მონიტორინგს მოსალოდნელ ვადიანობაზე, რაც 2008 წლის 31 დეკემბრისთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	მთხოვნა 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვის ზევით	სულ
<b>აქტივები</b>					
ფული და მისი ეკვივალენტები	34,400	3,420	-	-	<b>37,820</b>
ძირითადი სარეზერვო დეპოზიტები NBS-ში	2,778	339	452	1,372	<b>4,941</b>
სესხები და ავანსები კლიენტებზე	6,338	22,524	14,874	40,992	<b>84,728</b>
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>	<b>853</b>	<b>21,605</b>	<b>-</b>	<b>180</b>	<b>22,638</b>

<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>44,369</b>	<b>47,888</b>	<b>15,326</b>	<b>42,544</b>	<b>150,127</b>
-------------------------------	---------------	---------------	---------------	---------------	----------------

ვალდებულებები					
სხვა ბანკებისთვის გადასახდელი კლიენტის ანგარიშები	1,517	-	-	298	<b>1,815</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	63,144	7,703	10,276	32,305	<b>113,428</b>
სუბორდინირებული სესხი	1,034	20,571	-	-	<b>21,605</b>
	73	352	402	7,564	<b>8,391</b>

<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>65,768</b>	<b>28,626</b>	<b>10,678</b>	<b>40,167</b>	<b>145,239</b>
------------------------------------	---------------	---------------	---------------	---------------	----------------

<b>წმინდა ლიკვიდურობა 2008 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>(21,399)</b>	<b>19,262</b>	<b>4,648</b>	<b>2,377</b>	<b>4,888</b>
--	-----------------	---------------	--------------	--------------	--------------

<b>ლიკვიდურობა ნაზარდი ჯამით 2008 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>(21,399)</b>	<b>(2,137)</b>	<b>2,511</b>	<b>4,888</b>	
---	-----------------	----------------	--------------	--------------	--

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა მოსალოდნელ ვადიანობას.

**26 ფინანსური რისკის მართვა ( გაგრძელება)**

აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა ან კონტროლს დაქვემდებარებული შეუსაბამობა ბანკის მენეჯმენტისათვის უმნიშვნელოვანესია. ბანკებისთვის უჩვეულოა მუდამ დაიცვან შესაბამისობა, რადგან მიღწეული ბიზნეს ტრანზაქცია ხშირ შემთხვევაში არის გაურკვეველი ვადის და სხვადასხვა ტიპის. შეუსაბამობა პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა ასევე შეიძლება გაზარდოს ზარალის რისკიც. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა და იმის შესაძლებლობა, რომ ვადის ამოწურვისას მოხდეს საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებების ჩანაცვლება მისაღები ხაფხის ფარგლებში, მნიშვნელოვანია ბანკის ლიკვიდურობის და მისი საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ დამოკიდებულების შესაფასებლად.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით მიუხედავად იმისა, რომ კლიენტთა ანგარიშების დიდ ნაწილი მოდის მოთხოვნამდე დეპოზიტებზე, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია დეპოზიტარების რაოდენობის, მათი ტიპისა და ბანკის წარსული გამოცდილების მიხედვით იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ კლიენტთა ეს ანგარიშები უზრუნველყოფენ ბანკის დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს.

ლიკვიდურობის მოთხოვნები, რათა დაკმაყოფილდეს საგარანტიო წერილები და აკრედიტივი, არის საგრძობლად დაბალი ვიდრე ვალდებულების თანხა, რადგან ბანკი როგორც წესი ნაკლებად ელის მესამე მხარის მიერ თანხის გატანას ხელშეკრულების შესაბამისად. კონტრაქტით გათვალისწინებული მთლიანი დასაფარი ვალდებულების მოცულობა კრედიტის გაგრძელებაზე არ არის აუცილებელი წარმოადგენდეს მომავალში ნაღდ ფულზე მოთხოვნას, რადგან ბევრი ასეთი ვალდებულება შეწყდება ან ამოიწურება ყოველგვარი დაფინანსების გარეშე.

**27 კაპიტალის მართვა**

კაპიტალის მართვისას ბანკის მიზანია დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნები, უზრუნველყოს ბანკის შესაძლებლობა, როგორც მოქმედი ორგანიზაციისა, შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა და მიაღწიოს კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტის არანაკლებ 12 %-ისა. ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტთან შესაბამისობა კონტროლდება ყოველთვიურად და შესაბამის ანგარიშს გამოთვლებით ამოწმებს და ხელს აწერს ბანკის გენერალური დირექტორი და მთავარი ბუღალტერი. ამის შემდეგ ანგარიში წარედგინება ეროვნულ ბანკს. კაპიტალის მართვის სხვა მიზნების შეფასება ხდება ყოველწლიურად.

ამჟამად, ბანკებმა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კაპიტალის მოთხოვნების მიხედვით, უნდა: ა) უზრუნველყონ სააქციო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 12 000 000 ლარით, ბ) შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის რისკ-შეწონილ აქტივებთან ფარდობა დაწესებულ მინიმუმ 12 %-მდე ან მის ზემოთ, გ) შეინარჩუნონ პირველადი კაპიტალის რისკ-შეწონილ აქტივებთან ფარდობა დაწესებულ მინიმუმ 8%-მდე ან მის ზემოთ. ბანკის მიერ მართვას დაქვემდებარებული მთლიანი კაპიტალი 2008 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 38 562 000 ლარს. საზედამხედველო კაპიტალი ეყრდნობა ბანკის იმ ანგარიშებს, რომელიც შედგენილია საქართველოს ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს:

<i>ათასი ლარი</i>	<b>2008</b>
<b>პირველადი კაპიტალი</b>	
საწესდებო კაპიტალი	75,000
დამატებით გადახდილი კაპიტალი	(485)
გაუნაწილებელი მოგება	-
მინუს: არამატერიალური აქტივები	(31,958)
<b>სულ პირველადი კაპიტალი</b>	<b>42,557</b>
<b>მეორადი კაპიტალი</b>	
მიმდინარე წლის ზარალი	(12,386)
შუბორდინირებული სესხი	8,391
<b>სულ მეორადი კაპიტალი</b>	<b>(3,995)</b>
<b>სულ საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>38,562</b>
<b>რისკ-შეწონილი აქტივები:</b>	
საბალანსო	164,146

გარესაბალანსო  
სულ რისკ-შეწონილი აქტივები

170  
164,130

**ბაზელის კოეფიციენტი**

**23%**

2008 წლის განმავლობაში ბანკმა შეასრულა კაპიტალთან დაკავშირებული ყველა გარე მოთხოვნა.

## **28 დამატებითი გარემოებები და ვალდებულებები**

**სასამართლო შემთხვევები.** დრო და დრო ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ბანკის მიმართ აღვილი აქვს საჩივრებს. ბანკის მენეჯმენტი, საკუთარ ანალიზსა და შიდა პროფესიულ კონსულტაციებზე დაყრდნობით თვლის, რომ ამ საჩივრებთან დაკავშირებით ბანკი არანაირ მატერიალურ ზარალს არ მიიღებს და ამისათვის არანაირი რეზერვი არ შექმნილა ფინანსურ ანგარიშგებებში.

**შესაბამისობა საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებებთან.** ბანკი ექვემდებარება გარკვეულ სავალდებულო დებულებებს, რომელსაც ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებით ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი. ასეთი დადგენილებების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები ბანკისთვის, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ჯარიმები. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მიერ ამ დებულებების დარღვევა არ დაფიქსირებულა.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად არის ინტერპრეტაციებისა და ცვლილებების საგანი. ბანკის ხელმძღვანელობის მიერ ტრანზაქციებისა და ბანკის საქმიანობაზე ასეთი კანონმდებლობის ინტერპრეტაციის სისწორე შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგონალურმა და სახელმწიფო ორგანოებმა. საქართველოში მომხდარმა ბოლო ფაქტებმა აჩვენა, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო დამაჯერებლად ახდენენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასა და შეფასებას, და შესაძლებელია, წარსულში განხორციელებული ტრანზაქციები და საქმიანობა, რომელთა მართებულება ადრე არ იქნა ეჭვქვეშ დაყენებული, განხილვის საგნად იქცეს. შედეგად, შეიძლება დაწესდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და მათზე დარიცხული პროცენტი. საგადასახადო ორგანოებს გადასახადებთან დაკავშირებული რევიზიის ჩატარება შეუძლიათ განსახილველი ფისკალური პერიოდიდან დაწყებული გავლილი სამი კალენდალური პერიოდის განხილვა. ზოგიერთ შემთხვევაში ამ შემოწმებამ შესაძლოა მოიცვას უფრო მეტი პერიოდიც. ბანკის მენეჯმენტის აზრით შესატყვისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია მართებულია და ბანკის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის პოზიციები შენარჩუნდება. შესაბამისად, 2008 წლის 31 დეკემბრისთვის შესაძლო საგადასახადო ვალდებულებების კუთხით არანაირი რეზერვის გათვალისწინება არ მომხდარა.

**კაპიტალდაბანდებების ვალდებულებები.** 2008 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებული საკონტრაქტო ვალდებულებები არამატერიალურია.

**კრედიტან დაკავშირებული ვალდებულებები.** ამ ინსტრუმენტების ძირითად მიზანს წარმოადგენს ის, რომ კლიენტმა მიიღოს თანხები საჭიროებისამებრ მოთხოვნისთანავე. საგარანტიო წერილები და აკრედიტივები, რომლებიც წარმოადგენენ იმის უპირობო გარანტიას, რომ ბანკი გადაიხდის თანხას იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ვერ შეასრულებს მესამე პირისადმი აღებულ ვალდებულებებს, ატარებენ იგივე საკრედიტო რისკს რასაც სესხები. საგარანტიო წერილები და აკრედიტივები, რაც ბანკის მიერ წერილობით დასტურს წარმოადგენს იმ კლიენტის მიმართ, რომელიც ვალდებულებას იღებს მესამე მხარის წინაშე, რომ საჭიროების შემთხვევაში ბანკი უზრუნველყოფს კონტრაქტის პირობებით დადგენილი თანხის გადახდას, ბანკი ასეთი მომსახურებისთვის გირაოს სახით იღებს იმ საქონელს, რომელზეც ზემოაღნიშნული

საგარანტიო წერილი გაიცემა ან სადეპოზიტო ანაბარზე განთავსებულ თანხას, რაც ამცირებს რისკს გირაოს გარეშე დაფინანსებასთან შედარებით.

კრედიტის გამოყოფის ვალდებულებები წარმოადგენენ ავტორიზებული გამოსაყოფი კრედიტის გამოუყენებელ ნაწილს, რომელიც გაიცემა სესხის, გარანტიის ან აკრედიტივის სახით. კრედიტის გამოყოფის ვალდებულებებზე საკრედიტო რისკთან მიმართებაში ბანკის პოტენციური დანაკარგი ტოლია მისი მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებებისა თუ კი მოხდება გამოუყენებელი თანხების გატანა. თუმცა, დანაკარგის მოსალოდნელი ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებებთან შედარებით, რადგან კრედიტის გამოსაყოფად საჭირო ვალდებულებების უმრავლესობა დამოკიდებულია კლიენტების მხრიდან სპეციფიკური საკრედიტო სტანდარტების დაცვაზე და ადეკვატურ უზრუნველყოფაზე. ბანკი ახორციელებს მონიტორინგს საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობაზე, რადგან გრძელვადიანი ვალდებულებები მოკლევადიანთან შედარებით უფრო დიდი საკრედიტო რისკის მატარებლები არიან. კრედიტთან დაკავშირებული აუთვისებელი ვალდებულებები შედგება:

<i>ათასი ლარი</i>	<b>2008</b>
კრედიტის გამოყოფის ვალდებულებები	274
გაუცემელი საკრედიტო ხაზები	26,096
გაცემული გარანტიები	170
<b>სულ კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები</b>	<b>26,540</b>

მთლიანი აუთვისებელი საკონტრაქტო ოდენობა გაუცემელი საკრედიტო ხაზების, საგარანტიო წერილებისა და აკრედიტივების არ არის აუცილებელი წარმოადგენდეს ნაღდ ფულზე მოთხოვნილებას მომავალში, რადგან შესაძლოა ასეთი ფინანსურ ინსტრუმენტების ვადის ამოწურვა ან შეწყვეტა მათი დაფინანსების გარეშე. კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება 2008 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 15 000 ლარი. (2007: 0 ლარი)

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები გამოსახულია ვალუტაში შემდეგნაირად:

**28 გაუთვალისწინებელი გარემოებები და ვალდებულებები (გაგრძელება)**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2008</b>
ლარი	24,305
დოლარი	1,203
ევრო	1,032
<b>სულ</b>	<b>26,540</b>

**29 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა მსურველ მხარეებს შორის მიმდინარე ტრანზაქციისას, გარდა იძულებითი გაყიდვის ან ლიკვიდაციის შემთხვევისა და რაც ნათლად გამოიხატება არსებულ საბაზრო ფასში.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება დადგინდა ბანკის მიერ ბაზარზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით (სადაც ეს ინფორმაცია არსებობდა) და შეფასების სათანადო მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით. თუმცა, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად

საჭიროა მოხდეს ბაზრის მონაცემების გაანალიზება. საქართველოს კვლავ აქვს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თვისებები და ეკონომიკური პირობები, რაც ზღუდავს მის აქტიურ საქმიანობას ფინანსურ ბაზარზე. შედეგად, საბაზრო კოტირება შესაძლოა მოძველებული იყოს ან ასახავდეს გამონაკლის (დაძაბული ფინანსური მდგომარეობით გამოწვეულ) საბაზრო ტრანზაქციებს და შესაბამისად არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. მენეჯმენტმა გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად.

ფული და მისი ექვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით არის წარმოდგენილი და კარგად ასახავს მათ სამართლიან ღირებულებას.

**სესხები და დებიტორული დავალიანებები ამორტიზებული ღირებულებით.** ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენა ემყარება სამომავლოდ მისაღებ ფულად სახსრებს, რომელთა მიღებაც ხდება იგივე საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტების არსებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირებით. გამოყენებული დისკონტის კოეფიციენტები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის ვადიანობაზე და დამოკიდებული მხარის საკრედიტო რისკზე. დისკონტის გამოყენებული საშუალო განაკვეთები შემდეგია:

<i>% წელიწადში,</i>	<b>2008</b>
<i>კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები – შენიშვნა 8</i>	
კორპორატიული სესხები	21
სესხები ფიზიკურ პირებზე –სამომხმარებლო სესხები	24
სესხები ფიზიკურ პირებზე–მეწარმეები	20
იპოთეკური სესხები	23
სალომბარდე სესხები	27

სამართლიანი ღირებულება 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემო ცხრილში:

<i>ათასი ლარი</i>	<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>სამართლიანი ღირებულება</b>
კორპორატიული სესხები	24,059	23,947
სალომბარდე სესხები	37,170	36,825
სესხები ფიზიკურ პირებზე –სამომხმარებლო სესხები	17,444	17,625
სესხები ფიზიკურ პირებზე–მეწარმეები	484	501
იპოთეკური სესხები	5,571	5,230
<b>სულ:</b>	<b>84,728</b>	<b>84,128</b>

**ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით.** ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთისა და დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტების (რომლისთვისაც კოტირებული საბაზრო ფასი არ არსებობს) სამართლიანი ღირებულების დადგენა ემყარება სამომავლოდ მისაღებ ფულად სახსრებს, რომელთა მიღებაც ხდება იგივე საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტების არსებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირებით. მოთხოვნისთანავე ან შეტყობინების ვადის შემდეგ დასაფარი ვალდებულებების სასამართლიანი ღირებულება (“მოთხოვნადი ვალდებულებები”) არის თანხა რომლის გადახდაც ხდება მოთხოვნისთანავე და რომელიც არის დისკონტირებული იმ დღიდან როცა შეიძლება მოთხოვნილიყო ამ თანხის გადახდა. სხვა ბანკებისთვის გადასახდელი თანხების, კლიენტის ანგარიშების და სხვა ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შესაბამისად მოცემულია მე-15, მე-16 და მე-17 შენიშვნებში.

**30 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით**

შეფასების მიზნით IAS 39 სტანდარტი ფინანსური ინსტრუმენტები (აღიარება და შეფასება) ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებად: ა) სესხები და დებიტორული დავალიანებები, ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, გ) ვადის ამოწურვამდე არსებული ფინანსური აქტივები და დ) ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალზე ცვლილების გავლენით ("FVTPL"). ფინანსურ აქტივებს სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალზე ცვლილების გავლენით აქვს ორი ქვე კატეგორია: (I) პირველადი აღიარების აქტივები, (II) გასაყიდად არსებული აქტივები.

ბანკის ყველა ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია საბალანსო უწყისში IAS 39 სტანდარტის კატეგორიების შესაბამისად.

**31 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან**

ზოგადად მხარეები ითვლებიან ურთიერთდაკავშირებულად, თუ ისინი არიან საერთო მმართველობის ქვეშ ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება ან აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის მნიშვნელობას და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

2007 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დავალიანება დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	2008			2007		
ათასი ლარი	აქციონერები	მმართველი პერსონალი	სხვა დაკავშირებული მხარეები	აქციონერები	მმართველი პერსონალი	სხვა დაკავშირებული მხარეები
სხვა ფინანსური აქტივები კლიენტის ანგარიშები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 2 - 11.5 %)	21,605	-	-	16,000	-	-
	2,909	365	3,153	-	-	-

2008 წლის დანახარჯები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

ათასი ლარი	აქციონერები	მმართველი პერსონალი	სხვა დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო ხარჯი	138	7	11

მენეჯმენტის ანაზღაურება ნაჩვენებია ქვემოთ:

**JSC KOR STANDARD BANK****Notes to the Consolidated Financial Statements – 31 December 2008**

<i>ათასი ლარი</i>	2008	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულებები
<i>მოკლევადიანი სარგებელი:</i>		
- ხელფასები	366	-
- მოკლევადიანი პრემიები	14	-
- ნატურით გადახდა	117	-
<b>სულ</b>	<b>497</b>	<b>-</b>

მოკლევადიანი ბონუსების გადახდის პერიოდია 12 თვე იმ პერიოდის დასრულების შემდეგ, რომელშიც ადგილი აქვს მენეჯმენტის მიერ მომსახურების გაწევას.

**32 ბიზნეს კომბინაციები**

2008 წლის 5 მარტს ბანკმა იყიდა ს.ს. სტანდარტ ბანკის აქციათა 100%. შეძენის დღიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე შეძენილმა კომპანიამ ბანკს მოუტანა 21. 109 000 ლარის შემოსავალი და 11 431 000 ლარის ზარალი. შეძენა რომ მომხდარიყო 2008 წლის 1 იანვარს, ბანკის შემოსავალი 2008 წელს იქნებოდა 24 445 000 ლარი, ხოლო ზარალი 11 638 000 ლარი.

ბანკის მიერ გადახდილი თანხა განისაზღვრა შესასყიდი კომპანიის მთლიანი ბიზნესის შიდა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. თუმცა, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მე-3 სტანდარტის (“ბიზნეს კომბინაციები”) შესაბამისად, შესყიდვისას ბანკმა მხედველობაში უნდა მიიღოს შეძენილი იდენტიფიცირებული აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება. ამ ორმა განსხვავებულმა მიდგომამ შესაძლოა გამოიწვიოს განსხვავება და როგორც ქვემოთ ცხრილშია მოცემული, გუდვილის აღიარება: შეძენილი აქტივებისა და ვალდებულებების და წარმოშობილი გუდვილის შესახებ მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

<i>ათასი ლარი</i>	შენიშნა	IFRS საბალანსო ღირებულება ბიზნესის გაერთიანებამდე	მიკუთვნილი სამართლიანი ღირებულება
ფული და მისი ეკვივალენტები		20,160	20,160
ბანკებიდან მისაღები თანხები		13	13
სესხები და ავანსები კლიენტებზე		67,563	67,563
დაბანდება უძრავ ქონებაში	9	-	5,984
არამატერიალური აქტივები, მათ შორის კავშირი კლიენტებთან	11	119	13,776
შენობები და აღჭურვილობები	12	16,248	12,885
წინასწარი გადახდები		453	453
სხვა აქტივები		1,000	1,000
ბანკების მოთხოვნები		(20,248)	(20,248)
კლიენტის ანგარიშები		(45,405)	(45,405)
გადავადებული შემოსავალი და დარიცხვები		93	93
სხვა ვალდებულებები		(652)	(652)
საგადასახადო ვალდებულებები		(280)	(673)
შუბორდინირებული სესხი		(7,784)	(7,784)
<b>შეიღობილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება</b>		-	<b>47,165</b>
შეძენიდან წარმოშობილი გუდვილი	10		<b>20,374</b>
<b>მთლიანი შესყიდვის თანხა:</b>			<b>67,539</b>
მინუს: გადავადებული შესყიდვის ფასი სამართლიანი ღირებულებით	17		(32,539)
მინუს: შეძენილი კომპანიის ფული და მისი ეკვივალენტები			(20,160)
<b>ფულისა და მისი ეკვივალენტების გადახდა შეძენაზე</b>			<b>14,840</b>

შესასყიდი თანხა მოიცავს 35 000 000 ლარის ოდენობის გადახდილ თანხასა და მის ეკვივალენტს და გადავადებულ 35 000 000 ლარს, რომლის სამართლიანი ღირებულებაც 32 539 000 ლარს შეადგენს.

**32 ბიზნეს კომბინაციები (გაგრძელება)**

აქციების შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მყიდველმა უნდა გადაიხადოს შემდეგი თანხა:

პირველი გადახდა მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღეში, მთლიანი შესყიდვის ფასის 50% ოდენობით (35 000 000 ლარი)

მეორე გადახდა მოხდება დაუყოვნებლივ პირველი გადახდიდან 6 თვის შემდეგ, მთლიანი შესყიდვის თანხის 20%-ის ოდენობით. (14 000 000 ლარი)

ხოლო მესამე გადახდა მოხდება პირველი გადახდიდან 1 წლის შემდეგ, მთლიანი შესყიდვის თანხის 30% -ის ოდენობით. (21 000 000 ლარი)

აქტივების სამართლიანი ღირებულების დადგენა, გარდა შექმნილი შენობების, აღჭურვილობისა და ვალდებულებებისა ხდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის გამოყენებით. 2008 წლის 6 მარტისთვის, შენობები და აღჭურვილობები გადაფასდა შესყიდვის ფასის დადგენის მიზნით. შეფასება ჩატარდა დამოუკიდებელ შემფასებელთა კომპანიის Baker & Tilly Georgia-ს მიერ, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასებაში.

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის სამართლიანი ღირებულება, რომელიც 2006 წლიდან მოყოლებული 5 862 ათას ლარს შედაგენს, შეფასდა მენეჯმენტის მიერ მიმდინარე ღირებულების მიახლოებით გამოსათვლელად 2008 წლის 6 მარტის მდგომარეობით. შეფასება მოხდა შეფასების ამორტიზებული ხარჯის მეთოდის გამოყენებით.

იდენტიფიცირებული არამატერიალური აქტივების შეფასება განხორციელდა ბანკის შიდა სპეციალისტების მიერ. შეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, ძირითადი დეპოზიტებისაგან შედგენილი არამატერიალური აქტივები შეფასდა 13 657 ათას ლარად. იხილეთ მე-11 შენიშვნა.

კონსოლიდაციის შედეგად წარმოქმნილ გუდვილს მენეჯმენტი აღიარებს აქტივად, შემდეგ მოსაზრებებზე დაყრდნობით:

- შექმნილი ბანკი ისტორიულად მომგებიანი იყო
- შექმნილ ბანკს ჰქონდა მყარი, დამკვიდრებული კლიენტურის ბაზა
- ბანკის მენეჯმენტი გეგმავს ბიზნესის გაფართოებას რეგიონში, რაც ასევე აისახება 5 წლიანი ბიუჯეტის მკვეთრ ზრდაში

შექმნისას გუდვილი მიეკუთვნა ბანკს, როგორც ფულადი სახსრების გენერირების ერთეულს, რადგან ბანკი აგრძელებს ს.ს. კორ სტანდარტ ბანკის მიერ დაწყებულ ბიზნეს საქმიანობას. იხილეთ მე-10 შენიშვნა.